სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 4 ივლისი 2008 №152 (3376) ფასი 50 თეთრი

თარგამაძეს კარლსრუე ეპატიჟება



სკოლარის პირველი ჩელსური დიდიე დროგბა შეგიძლიათ გაყიდოთ

ქართველები ვენეციაში

ჩვენი ხელბურთელები მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატზე

WILLIAMSeven

ორი და გავიდა

ამ ბოლო დროს ქალთა ჩოგბურთში საქმეები ისე წავიდა, პოდიუმი სლავებმა დაიპყრეს და შავდა უილიამსები თითქოს ჩრდილშიც მოექცნენ. მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს და მათ შორის, ვინუსის და სერენას დაჩრდილვას.

ახლა უილიამსები უიმბლდონის ფინალში არიან.

ვინუსი უიმბლდონის ოთხგზის ჩემპიონია, სერენას კი ეს უმთავრესი სლემტურნირი ორჯერ მოუგია. ანუ, უიმბლდონის ტრიუმფატორთა ნუსხაში უილიამსის გვარი ხვალ უეჭველად მეშვიდედ ჩაიწერება.

დები უილიამსები აქამდე ექვსჯერ დაჯახებიან ერთმანეთს სლემტურნირთა ფინალში, ანუ ხვალ მეშვიდედ შეხვდებიან. წინა ექვსი სლემფინალიდან პირველი ვინუსმა მოიგო, შემდეგი ხუთი კი სერენამ.

ეს უიმბლდონი კი მათ საოჯახო კოლექციაში მეთხუთმეტე სლემტიტული იქნება.

ევროპაში ამხანაგობა ქართულ ევროპამდე

სამი ქართული გუნდი, ახალ სეზონს დანარჩენებზე ადრე რომ იწყებენ ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპებზე მონაწილეობის გამო, უცხოურ შეკრებებს გადიან და გუშინ სამივემ ამხანაგური მატჩები ჩაატარა.

გერმანიაში დაბანაკებულმა ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“, ვაგლახ, ტკბილი დროება ვერ გაიხსენა და იენის „კარლ ცაისთან“ 1:2 დამარცხა.

საქართველოს თასის მფლობელი „ზესტაფონი“ თურქეთშია და თავდაპირველი გეგმით, გუშინ აზერბაიჯანულ „ინტერთან“ უნდა ეთამაშა, თუმცა ეს მატჩი ბაქოელთა მიზეზით ჩაშლილა და ზესტაფონელებმაც სასწრაფოდ ახალი სპარინგ-პარტნიორი, თურქული მეორე ლიგის „სანლიუფა ბელედიესფორი“ შეიგულეს და 5:0 მოუგეს.

გუშინვე ყირიმში მყოფმა ვიტჯორჯიელებმა ფრედ, 2:2 ითამაშეს ოდესის „ჩერნომორეცთან“.

დინამო ტრავმამ შეჭამა

„კარლ ცაისის“ და „დინამოს“ მატჩი რომ დასრულდა, ინტერნეტ-ფორუმზე ვიღაცამ იხუმრა, კიდევ კარგი, თასების მფლობელთა თასი გარდამავალი აღარ არისო...

ხუმრობა იქით იყოს და, დინამოელებს მართლა სერიოზული პრობლემა აქვთ. მათე ვაწაძე და გიორგი მერებაშვილი დაშავებულნი არიან, გუშინ იენელებთან მატჩის 30-ე წუთზე კი ილია სპასოევიჩიც შესაცვლელი შეიქნა. რამდენად მძიმეა ჩერნიგორიელის ტრავმა, დღესხვალ გაირკვევა. იმედია, სერიოზული არაფერი იქნება. ამას დავუმატოთ, რომ ჟორჟ აკირემი და დიდიე ოვონო ჯერაც გაბონში არიან და ადვილად მიხვდებით, რომ „დინამოს“ ახალ გერმანელ მწვრთნელ რაინერ ცობელს პრობლემები თავზესაყრელად აქვს.

თამაში კი, რომელიც პატარა გერმანულ ქალაქ საალფელდში ჩატარდა, ამხანაგურის კვალობაზე უშეღავათო გამოდგა, ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ მსაჯმა უმოწყალოდ არიგა ყვითლები, რომელთაგან 4 დინამოელებს ერგოთ.

პირველი ტაიმი „დინამომ“ მოიგო. გოლი მე-40 წუთზე ოლეგ გველესიანის სოლო-რეიდს და მეკარესთან პირისპირ გასვლას მოჰყვა.

„კარლ ცაისმა“ გოლები 58-ე და 66-ე წუთებზე. ორივე გოლი ახალგაზრდა იტალიელი ფორვარდის სალვატორე ამისანტეს ანგარიშზეა.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ლორია, შ. კაშია, გ. კაშია (ინწკირველი 55), კრშკო, შირანეკი (ნესვადბა 55; ნერგაძე 72), ოდიკაძე, ფირცხალავა (დიღმელაშვილი 60), ხმალაძე, გველესიანი, ქანთარია, სპასოევიჩი (თომაშვილი 30).*

გადრი ჯეიოლაძის ფოტო

კოტე კეკელია

ვიტ ჯორჯია ჩერნომორეცს დაეტოლა

ჩერნომორეცი 2:2 ვიტ ჯორჯია

0:1 დათუნაიშვილი (27), 1:1 ვლადოვი (30), 2:1 კორიტკო (44ჯ), 2:2 ლიპარტია (48)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ხურცილავა, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ბეჭვაია, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე (კვაღინაძე 46), ღუჭაშვილი (ვ. კვარაცხელია 46; ბერიაშვილი 75), ლიპარტია.

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

თბილისის „ვიტ ჯორჯია“ ყირიმშია და საახალსეზონოდ ემზადება. ვარჯიშებთან ერთად ვეტერინარები საკონტროლო მატჩებსაც ატარებენ.

პირველი ამხანაგური შეხვედრა „ვიტ ჯორჯიამ“ „კრიმტეპლიცას“ ბაზაზე უკრაინის ჩემპიონატის უმაღლესლიგელ ოდესის „ჩერნომორეცთან“ გამართა.

„ვიტ ჯორჯიამ“ ტოლი არ დაუდო მეტოქეს და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია.

თამაშმა ორმხრივ იერიშებში ჩაიარა. 27-ე წუთზე კარგად ითამაშა გიორგი დათუნაიშვილმა, რომელმაც მეკარისგან გადმოვარდნილ ბურთზე ყველას დაასწრო და ანგარიში გახსნა.

ჩვენებს დიდხანს არ გაუხარიათ — მაღალი გადაცემის შემდეგ ვლადოვმა ანგარიში გაათანაბრა.

თითქოს ტაიმიც ასე უნდა მორჩენილიყო, მაგრამ „მეზღვაურებმა“ პენალტით იხეირეს — თავი კორიტკომ გამოიჩინა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე „ვიტ ჯორჯიას“ მორიგი შეტევისას ოდესელთა მეკარე გამოსვლაზე შეცდა, საჯარიმოს გარეთ ბურთი თავით უხერხულად მოიგერია და ჯაბა ლიპარტიამ ანგარიში გაათანაბრა.

დარჩენილ დროში მასპინძლები მცირე უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ვიტელთა კარის აღება ვერ მოახერხეს.

ერთიც: ოდესელთა გუნდში ძირითადში იყო და 63-ე წუთზე შეცვალეს კახა მჟავანაძე.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ზესტაფონმა ხუთიანით დაიწყო

„ზესტაფონმა“ თურქული შეკრების პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. იმერელთა მეტოქე თურქეთის ჩემპიონატის ქვედალიგელი „სანლიურფა ბელედიესფორი“ გახლდათ.

წესით, ჩვენებს აზერბაიჯანის ჩემპიონ ბაქოს „ინტერთან“ უნდა ეთამაშათ, თუმცა საორგანიზაციო პრობლემების გამო ეს მატჩი არ შედგა.

თემურ მახარაძემ გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *რ. კვასხვაძე, ლობჟანიძე (ბუკია 57), ს. თოდუა (გორგიაშვილი 70), ფრიდოლინი (ხაჩიძე 55), სანტოსი (შ. ლონლაძე 46), რ. ონიანი, ნ. კვასხვაძე (ხიხაძე 46), ძარია (საცერაძე 60), ვიეირა (მაკარიანი 46), ბ. გოცირიძე, გელაშვილი (იონანიძე 46).*

აღსანიშნავია, რომ დებიუტი ჰქონდათ ახალგაზრდა ფეხბურთელებს — გივი ხაჩიძეს, კარენ მაკარიანს და თამაზ ხიხაძეს.

ითამაშა ცხინვალის „სპარტაკიდან“ დაბრუნებულმა ირაკლი ძარიამაც.

შეხვედრა ქართველი ფეხბურთელების უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა — 5:0.

გოლები ჟილვან ვიეირამ (მე-10 წუთი), ნიკა კვასხვაძემ (14), ნიკოლოზ გელაშვილმა (22) და ზურაბ იონანიძემ (54, 62) გაიტანეს.

ძახა შალამბერიძე

დობროვოლსკი ოლიმპში!

ქასრაშვილი აფრიკელებსაც ელის

რუსთავის „ოლიმპი“ თბილისში აგრძელებს მზადებას. გასულ სეზონთან შედარებით რუსთაველებს განსხვავებული შემადგენლობა ეყოლებათ. „ოლიმპმა“ ბლომად ფეხბურთელი შეიმატა და გუშინ შეუერთდა ამერელი დენის დობროვოლსკიც, ვისაც „ყვითლებთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და კლუბის გამოცვლა გადაწყვიტა.

„ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელ ხვიჩა ქასრაშვილს გუშინ შევეხმიანეთ და გუნდის მზადებაზე ვკითხეთ...

ბურაბ ფოლადაშვილის ფოტო

— ყველაფერი ნორმალურად მიდის. „ნორჩი დინამოელის“ მოედანზე ვვარჯიშობთ. ერთი ახალი ფეხბურთელიც შევიმატეთ — თბილისის „ამერის“ ნახევარმცველი დენის დობროვოლსკი.

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, კიდევ რამდენიმე აფრიკელი ფეხბურთელი ჩამოვა გასასინჯად...

— სამ-ოთხ მოთამაშეს ველოდებით, ისინი უახლოეს დღეებში უნდა ჩამოვიდნენ.

— ორი ტესტ-მატჩი უკვე გამართეთ — ორჯერვე ბოლნისის „სიონს“ სძლიეთ და კიდევ როდის გეგმავთ საკონტროლო მატჩს?

— 7 და 10 ივლისს აზერბაიჯანულ „სიმურგთან“ გვაქვს დაგეგმილი შეხვედრები. სწორედ ამ მატჩებში დავაკვირდები აფრიკელ ფეხბურთელებს და საბოლოოდ გუნდს ამ ტესტ-მატჩების შემდეგ დავაკომპლექტებ.

— ურეკში შეკრებაზე როდის მიდიხართ?

— 18 ივლისს წავალთ და ათი დღე დავრჩებით, 2 აგვისტოს კი უკვე საქართველოს თასის მატჩი გვექნება.

— ახალგაზრდა დავით დევდარიანი საბოლოოდ დაგემშვიდობათ, თუ შესაძლოა, ისევ დაგიბრუნდეთ?

— დევდარიანი რამდენიმე დღით წავიდა დანიურ „ორჰუსში“ და ამ დღეებში ან დაგვიბრუნდება, ან ორჰუსელი გახდება.

ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

ნუკრი ლოლაძე

თარგამაძეს კარლსრუე ეპატიჟება

„ფრაიბურგი“ ან „კარლსრუე“ — ქართველი ფეხბურთელი დავით თარგამაძე ასეთი არჩევანის წინაშე დგას.

„ფრაიბურგის“ 19-წლამდელთა გუნდის ნახევარმცველმა გასულ სეზონში კარგად წარმოაჩინა თავი, გუნდს გაჩემპიონებაში დიდად დაეხმარა და კლუბმაც უმალ შესთავაზა პროფესიული კონტრაქტი.

მაგრამ...

ახლა საქმე არჩევანზეა, რადგან თარგამაძეს ახალი ვარიანტიც გამოუჩნდა — ბუნდესლიგური „კარლსრუე“.

როგორც შევიტყვეთ, ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელს თავის კლუბში სიტყვა ალექსანდრე იაშვილმა შეაწია და საქმეც დაიძრა.

რამდენიმე დღეში საბოლოოდ უნდა გაირკვეს, რას გადაწყვეტს თარგამაძე.

ჩვენ კი რა ვთქვათ: ფაქტია, სახელითაც და რანგითაც „კარლსრუე“ აშკარად სჯობს „ფრაიბურგს“, თუმცა იმასაც გააჩნია, რას შესთავაზებენ ეს კლუბები ნიჭიერ ქართველ ნახევარმცველს, ვისაც ახლა ყველაზე მეტად სათამაშო წუთები სჭირდება...

ძახა შალამბერიძე

დიორის ბოლო წუთები

უეფას თასზე „ზესტაფონის“ მეტოქე უნგრული „დიორ ეტო“ სერიოზულად ემზადება იმერლებთან შესახვედრად.

„დიორი“ ავსტრიაში გადის შეკრებას და იქაურ გუნდებს ამხანაგურად ეჯიბრება — ბოლო საკონტროლო შეხვედრა ავსტრიის ერთერთ ლიდერთან, „მატერსბურგთან“ გამართა და 3:2 მოუგო.

მადიარებმა პირველ ტაიმში 2:0 იმარჯვეს, მეორეში ამდენივე ბურთი გაუშვეს და მატჩის მოგება მხოლოდ ბოლო წუთზეღა შეძლეს. გოლები ტამაშ კოლტაიმ, ბალაშ ნიკოლოვმა და დავიდ პაკოლიშმა გაიტანეს.

შანდორ ედერვანმა გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა:

ზ. ვარგა (მოლნარი), ნიკოლოვი (იაკლი), შტარკი, ბანკი, ვოლვი (ჩერმელი), კოლტაი (პაკოლიში), ეუდენი, ყოში, ბოცაკი (პინტური), ბოორი (ტოდოკი), ბაიზატი (ზ. კოვაჩი).

მიხეილ ჟორჟოლიანი

ამხანაგური მატჩები

ლეგია 3:1 ვორსკლა
ტიმიშოარა 1:1 ხაზარი
აუსტრია 3:1 ვისლა

უვედეთი

ალსვენსკა. XII ტური
მალმიო 2:1 ლიუნგსკილე
იორებრო 1:4 აიკ
ჰელსინგბორგი 1:0 გაის

ნორვეგია

თასის 1/16 ფინალი
სპარტა 2:3 ვოლერენგა
ულ კისა 0:1 ფრედრიკსტადი

კახა კალაძის ევროპა და, რა თქმა უნდა, ოჯახი

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე შვებულებაშია და საკუთარ საქმეებს აგვარებს, მაგრამ ჟურნალისტებისგან მაინც ვერ მოისვენა. ამჯერად მას რუსი ჟურნალისტები ესაუბრნენ და ევროპის აწ დასრულებული ჩემპიონატის გარდა პირად საქმეებზეც დაეკითხნენ...

ბადრი კეთილაძის ფოტო

— ელოდით, რომ რუსეთის ნაკრები ნახევარფინალში ითამაშებდა?

— არა. განსაკუთრებით ესპანელებთან პირველი თამაშის შემდეგ. რუსეთის ნაკრები ნამდვილი სიურპრიზი და ევროპის ჩემპიონატის აღმოჩენა იყო. ხოლო შვედეთთან და ჰოლანდიასთან მატჩებში დიდი სიამოვნება მომიტანა.

— განსაკუთრებით რომელი მატჩი მოგეწონათ?

— ძნელი სათქმელია... ესპანეთის ნაკრებთან პირველი მატჩის შემდეგ ყველა საინტერესო და დაძაბული იყო.

— ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?

— გუნდურ თამაშს გამოვარჩევდი. სიმართლეს გეტყვით, რუსეთის ნაკრების თამაშმა 1999 წლის კიევის „დინამო“ გამახსენა, როდესაც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ვითამაშეთ, სადაც ფატალური უიღბლობის და ბრმა შემთხვევის წყალობით წავაგეთ მიუნხენის „ბაიერნთან“. თუ კონკრეტულად ფეხბურთელებს მთხოვთ — არშავინი და პავლიუჩენკო.

— „მილანში“ თამაშობთ, საიდანაც იტალიის ნაკრებში მრავლად იყვნენ ფეხბურთელები. ალბათ გულშემატკივრობდით კიდეც და მათი სუსტი თამაშით გაკვირვებული იქნებით...

— მეკითხებით კიდეც?! ძალიან სუსტად ითამაშეს. მეოთხედფინალში გასვლაც ბუფონის დამსახურება მგონია. თუ ჰოლანდიასთან მატჩს არ ჩავთვლით, დაცვამ კარგად ითამაშა, თავდასხმას კი არაფერი უჩვენებია. ვფიქრობ, ამ გუნდით მეოთხედფინალში გასვლა მიღწევა იყო.

— ყველაზე მეტად რომელი ნაკრები მოგეწონათ და პირიქით?

— რუსეთი რომ მომეწონა, გითხარით, პირიქით კი შემიძლია იტალიაზე ვთქვა.

— როგორ ფიქრობთ, ესპანეთი ღირსეული ჩემპიონია?

— ორი აზრი არ არსებობს. ესპანელებს 44 წელი არაფერი მოეგოთ, არადა, სულ შესანიშნავი გუნდი ჰყავდათ. ახლაც ყოველ მატჩში ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობდნენ. ფინალში კი, მიუხედავად მინიმალური ანგარიშისა, ჩემი აზრით, გერმანიას გათანაბრების შანსიც არ ჰქონია.

— ამბობენ, რომ მალე დაქორწინდებით ცნობილ ქართველ მოდელ ანუკა არეშიძეზე...

— დაოჯახებას ვაპირებ, თუმცა ჯერ ქორწილი არ დაგვინიშნავს. მეტს ვერაფერს გეტყვით.

ასეთი დემეტრაძე აღარ გვჭირდება!

გაურკვეველია, საქართველოს ნაკრების თავდამსხმელ გიორგი დემეტრაძისა და მისი კლუბის, კიევის „არსენალის“ ურთიერთობა. კლუბის მესვეურები ჩვენებურის თამაშით უკმაყოფილონი არიან.

„დემეტრაძის ამბავი უკვე ისტორიაა, საწყენიც კი. საქართველოს ნაკრებში ერთი დემეტრაძე თამაშობს, „არსენალში“ — მეორე. მწვრთნელები თვლიან, რომ მან სწრაფად უნდა აღიდგინოს ფიზიკური კონდიციები, ან ისეთ ჩემპიონატზე იფიქროს, სადაც ნაკლები დატვირთვა ექნება“ — განაცხადა „არსენალის“ პრეზიდენტმა ვადიმ რაბინოვიჩმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სირაძემ ცხვირი გაიტეხა

ხვალ რუსული პრემიერლიგა განახლდება და ნალჩიკის „სპარტაკი“ იაროსლავლის „შინიკს“ უმასპინძლებს.

გოგიტა გოგუა და ალეკო ამისულაშვილი მინდორზე იქნებიან, დავით სირაძე კი ლაზარეთშია — ცხვირი აქვს გატეხილი და კონკრეტულად ამ მატჩს გამოტოვებს, მომდევნოში კი შეეძლება თამაში.

ნალჩიკელები მერვე ადგილზე არიან: 10 მატჩში 13 ქულა აქვთ.

ილია ნანოგაშვილი

ელიავა ჰაერში



საქართველოს ნაკრების მცველ ზაალ ელიავასა და პერმის „ამკარის“ გზები მეორედ გაიყარა.

ელიავა „ამკარში“ ჯერ კიდევ ზამთარში ისინჯებოდა, ახლახან კი ხელმეორედ შეეცადა, მათთვის მოეწონებინა თავი, თუმც ამაოდ.

„ქართველმა ფეხბურთელმა ტრავმის შემდეგ სრულად ვერ შეძლო ფორმის აღდგენა, ამიტომაც მის სამსახურზე უარი ვთქვით“ — განაცხადა პერმელთა მწვრთნელმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ღვინიანიძე ავადმყოფობს

გერმანული „მიუნხენ 1860“-ის ქართველმა ფეხბურთელმა მათე ღვინიანიძემ ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსი სრულად გაიარა და გუნდს შეკრებაზე უნდა შეერთებოდა, მაგრამ ჩვენებური არც ვარჯიშებზე ჩანს და არც საკონტროლო მატჩში, სადაც „ლომებმა“ ქვედალიგელი „მასირგი“ 10:0 შემუსრეს.

თუ გერმანული კლუბის ვებგვერდს დავეყრდნობით, მათემ ტრავმა მოირჩინა, მაგრამ ახლა ავადმყოფობს და ამიტომაც უქმობს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბალტიელი ქართველობა

„ბალტიის თასის“ გათამაშების ნახევარფინალში სამი „ქართული“ გუნდია. აქედან გამომდინარე, ორი ერთმანეთს ნახევარფინალში ხვდება და ფინალშიც, სულ ცოტა, ერთი „ქართული“ გუნდი რომ ითამაშებს, ფაქტია.

რიგის „სკონტომ“ შინ 2:1 მოუგო ლიტვურ „ჟალგირისს“ და თანაც კაცნაკლულმა. დავით გამეზარდაშვილმა და ვლადიმერ დვალიშვილმა სრულად ითამაშეს.

ნახევარფინალში „სკონტოს“ მეტოქე „რიგა“ იქნება.

ნუკრი მანჩხავასა და აკაკი ხუბუტიას „კაუნასმა“ კი სტუმრად 4:1 რომ დაბომბა „ეკრანასი“, მანჩხავას 90-წუთიანი წვლილი მიუძღვის. ხუბუტია მეორე ტაიმში გაისარჯა.

„კაუნასი“ ნახევარფინალში ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსს“ შეხვდება, რომელმაც უქართველოდ 1:0 მოუგო „სუდუვას“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბექა ბერაშვილი: 3 გოლი 3 მატჩში

დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი ბექა ბერაშვილი უკრაინელებს აოცებს — ჩვენებურმა მესამე მატჩი ითამაშა და ამჯერად დუბლი შეასრულა.

„დნიპრო“ ამხანაგურად ოლიმპიური მომზადების ცენტრის გუნდს შეხვდა და 4:0 მოუგო.

ბერაშვილმა მესამე და მეოთხე გოლები გაიტანა.

„დნიპროს“ ვებგვერდის ცნობით, ბერაშვილმა 38-ე წუთზე ერთი მცველი ჩამოიშორა, დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და დაბალი დარტყმით გაიტანა, 77-ეზე კი ჩებოტარიოვის კარგი პასით იხეირა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ქართული დესანტი უზბეკეთში

მდივნიშვილის ჰეთ თრიქი და ქუთათელაძის კინკილა



ბადრი კეთილაძის ფოტო

ლევან მდივნიშვილი

ქართველები უკვე მრავლად გამოჩნდნენ უზბეკეთის ჩემპიონატში და არცთუ ურიგოდ.

„უზ დონგ ჟუში“ სამი ქართველია — ექსამერელი ზურაბ ქვაჩახია, ექსდილელი გიორგი მიქაძე და ექსბათუმელი ზვიად ქუთათელაძე.

გუნდი ბოლო ადგილზეა, თუმც ქართველების ჩასვლა უკვე დაეტყოთ და პირველივე მატჩში სტუმრად გამარჯვება მოიპოვეს. „უზ დონგ ჟუმ“ 2:0 დაამარცხა „ყიზილყუმი“. ერთი გოლი ქუთათელაძის ანგარიშზეა, ქვაჩახიამ კი ყვითელ ბარათს გამოჰკრა ხელი.

ყველაზე კარგი დებიუტი ექსმაღაროელ ლევან მდივნიშვილს გამოუვიდა, რომლის „ანდიჟონმა“ 4:1 მოუგო „დინამოს“ და ჩვენებურმა ჰეთ თრიქი მიითვალა, რასაც ოდენ ნახევარი საათი მოანდომა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

მოლდოვა სანახევროდ დაიწყო

დაიწყო მოლდოვის ახალი ჩემპიონატი და საქმეში იქაური ქართველებიც ჩაერთვნენ, თუმც ჯერ სანახევროდ.

მამუკა ლომიძის „ზიმბრუმ“ პირველ ტურში შინ 2:0 მოუგო „ტილიგულს“ და ჩვენებურიც ლომივით იდგა დაცვის ცენტრში.

მოიგო ვაჟა თარხნიშვილის „შერიფმაც“ (1:0), თუმც ჩემპიონებს დებიუტანტ „აკადემიას“ დამარცხება ძალიან გაუჭირდა — გადამწყვეტი გოლი ბოლო წუთზე გავიდა.

საქმეში არ ჩართულა „დაჩიას“ ქართველობა, რადგან „ტირასპოლის“ ინტერტოტოს თასზე მონაწილეობის გამო მათი თამაში გადაიდო.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ანორთოსისის უცხო ხილი



თემურ ქეცბაია და მისმა „ანორთოსისმა“ სეზონისწინა მზადება დაიწყეს და პირველივე მატჩში ისეთი შედეგი მიიღეს, მთელი ერთი წლის განმავლობაში რომ არ უნახავთ კვიპროსზე — წააგეს.

„ანორთოსისმა“ ტესტ-მატჩში 0:1 დათმო დონეცკის „მეტალურგთან“. კლიმენტი წიტაიშვილმა „ანორთოსისში“ ერთი ტაიმი ითამაშა.

შეგახსენებთ, ქეცბაიას გუნდი ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სომხურ „პუნიკს“ ხვდება, ამ ბარიერის გავლის შემთხვევაში კი ვენის „რაპიდს“ გაეჯიბრება.

ილია ნანოგაშვილი

მოკაჭკაჭე ობობა

„ნიუკასლმა“ პირველი ტრანსფერი გაჩარხა — „მალიორკადან“ არგენტინელი ნახევარმცველი ხონას გუტიერესი გადმობირა. 23 წლის ფეხბურთელმა „კაჭკაჭებთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მეტსახელად „სპაიდერმენი“ ახალ გუნდში ამ თვის ბოლოს ჩავა. მან 18 ივნისს ბრაზილიის წინააღმდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ითამაშა.

„ვერც კი გამოვთქვამ, როგორ მიხარია „ნიუკასლში“ გადასვლა — ხარობდა გუტიერესი — პრემიერლიგა დიდებულია. ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ ახალ თანაგუნდელებს“.

„როიტერის“ ცნობით კი, „მალიორკა“ გუტიერესისგან 15 მილიონ ევროს ითხოვს. არგენტინელმა ფიფას წესი გამოიყენა და კლუბს გაეყარა, მაგრამ მალიორკელები ჩივილს აპირებენ

გაფიდა და აღარ დაბრუნებულა

სერბი მწვრთნელი დუშან ბაიევიჩი სალონიკის „არისიდან“ აიბარგა, რადგან კლუბის შეფებმა მის საქმეში ცხვირის ჩაყოფა მოინდომეს. ისინი ურჩევდნენ, თუ ვინ და რატომ უნდა ეყიდა და როგორი გუნდი გაეკეთებინა.

„მისტერ ბაიევიჩი წავიდა და გვითხრა, რომ აღარ დაბრუნდება. მას კონტრაქტით ერთი წელი კიდევ ეკუთვნის მუშაობა და ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ. თუ საჭირო გახდა, ფიფას მივმართავთ“ — განაცხადა „არისის“ პრესმდივანმა.

სერბმა მწვრთნელმა გუნდი მეოთხე ადგილზე გაიყვანა, მანამდე კი აეკშ-სა და „ოლიმპიაკოსშიც“ მუშაობდა.

დალი დაბრუნდა

„ვილიარეალი“ და „ფეიენოორდი“ მორიგდნენ — დანიელი ფორვარდი იონ დალ ტომასონი „ფეიენოორდში“ დაბრუნდება. ოთხი წლის წინ იგი როტერდამულ კლუბში თამაშობდა და იქიდან დაიწყო მოგზაურობა სხვადასხვა ევროპულ გუნდებში.

იყო „მილანში“, „შტუტგარტში“ და ბოლოს „ვილიარეალში“. დალ ტომასონი ესპანელებმა გაუშვეს და ახლა „ფეიენოორდში“ რიი მაკაისთან ერთად შეუტევს. დანიელმა კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ლე-ლე-ლე

„ლივერპულიდან“ „ლე მანში“ განათხოვრებული ანტონი ლე ტალეკი ფრანგულმა კლუბმა გამოისყიდა და ფეხბურთელი კარიერას სამშობლოში გააგრძელებს.

ფრანგი ფორვარდი „ლივერპულმა“ „ლე ავრიდან“ 2003-ში შეიძინა, როცა ინგლისურ კლუბს ჟერარ ულიე წვრთნიდა. ულიეს შემცვლელ რაფაელ ბენიტესს ლე ტალეკი თვალში არ მოუვიდა და შარშან ერთი სეზონით „ლე მანს“ დაუთმო, ახლა კი სულ გადაულოცა.

იორკი კიდევ დაიკნაჭლეებს

„სანდერლენდის“ ტრინიდადელმა ლეგიონერმა დუაიტ იორკმა კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა.

„მისი გამოცდილება გუნდისთვის ძვირფასია მოედანზეც და მოედნის მიღმაც“ — თქვა „შავი კატების“ თავკაცმა, იორკის ყოფილმა მანჩესტერელმა თანაკლუბელმა როი კინმა — იორკი საჭირო კაცია გასახდელშიც და ვარჯიშზეც“.

„ორი წელი ვითამაშე როი კინის ხელქვეით. ვგრძნობ, რომ კლუბიც და ფანებიც პატივს მცემენ და დარჩენა გადავწყვიტე“ — განაცხადა ფეხბურთელმა რომელიც ნოემბერში 37 წლის გახდა.

ბუფელს ჩაფრობა მოსწყინდა

ტომას ბუფელი გლაზგოს „რეინჯერსიდან“ ბელგიურ „სერკლში“ გადავიდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი „ჩაფრებში“ 2005-ში ალექს მაკლიშმა როტერდამის „ფეიენოორდიდან“ მიიყვანა. მას გლაზგოურ კლუბთან ოთხწლიანი ხელშეკრულება ჰქონდა, მაგრამ წასვლის უფლება ვადის ამოწურვამდე მისცეს.

შარშან მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა. ამიტომაც ისურვა სამშობლოში დაბრუნება და ამიერიდან „სერკლში“ ითამაშებს.

ისაკსონი გაგომეშდა

„მანჩესტერ სიტის“ შვედი მეკარე ანდრეას ისაკსონი პსვ-ში გადავიდა და ოთხწლიანი კოტრაქტს მოაწერა ხელი.

კლუბებმა გარიგების ფასი არ გაამხილეს, 26 წლის ისაკსონი კი ეურელიუ გომეშს შეცვლის, რომელიც იქ წავიდა, საიდანაც შვედი წამოვიდა — პრემიერლიგის „ტოტენჰემში“.

ანდრეას ისაკსონი 1999-ში „ტრელებორგიდან“ „იუვენტუსმა“ იყიდა, მაგრამ ორი წლის შემდეგ „იურგორდენში“ გაუშვა. იქიდან შვედმა „რენს“ მიაშურა და ბოლოს „სიტიში“ დაბინავდა. ტრავმების გამო პრემიერლიგაში მხოლოდ 19 მატჩი ითამაშა. შვედეთის ნაკრების მაისურა 59-ჯერ მოურგია.

ვინ გახდა მწვრთნელი?

კოვერჩანოში მწვრთნელობის ლიცენზიების მორიგი პარტია გაიცა და მათ შორის, ვინც მწვრთნელობის უფლება მიიღეს, ახლო წარსულში რამდენიმე ძალიან ცნობილი იტალიელ ფეხბურთელიცაა — მორენო ტორიჩელი, ალესანდრო კოსტაკურტა, ფაბრიციო რავანელი და ჩირო ფერარა. ასე რომ, ახლო მომავალში ახალგამომცხვარ ტაქტიკოსებს საქმეში ვიხილავთ.

ვაჟა ხუციშვილი

გარეთ, გადი გარეთ!



აი, სეირი: „ასტონ ვილამ“ გარეთ ბერი კლუბის პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა და ზედ ჯარიმა მიაყოლა, 100 000 გირვანქა.

რას ნიშნავს საფეხბურთო კლუბის მიერ ადამიანის პერსონა ნონ გრატად გამოცხადება? იმას, რომ ამიერიდან ბერის არათუ „ვილას“ საწვრთნელ ცენტრში ან ოფისში, მალაზიაშიც კი ეკრძალება გამოჩენა.

მიზეზი: ბირმინგემელთა შეფების აზრით, ფეხბურთელის ბრძოლამ „ლივერპულში“ გადასვლისთვის უკვე საზიზღარ ფორმას და მასშტაბებს მიაღწია.

როგორც ჩანს, „ასტონ ვილას“ ხელმძღვანელები ყველაზე მეტად ბერის გასული კვირის გამონათქვამმა გააბრაზა. ამის შესახებ გუშინდელ „სარბიელშიც“ გვეწერა: ჩვენი მწვრთნელი მარტინ ონილი, ნაცვლად იმისა, რომ დამლაპარაკებოდა და საკუთარი ფეხბურთელების საქმეებზე ეზრუნა, ევრო 2008-ზე ტელემიმომხილველად იჯდა და ტელეფონს არ პასუხობდაო. ონილი ამის გაგონებაზე გაცეცხლდა და გაშინდელი დღისთვის (გუშინ კი „ვილას“ ზაფხულის არდადეგები დაუსრულდა და გუნდი შეიკრიბა) რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო.

თან, ხომ არ გგონიათ, რომ ონილმა ბერის თავისი რისხვა თავს უშუალოდ დაატეხა? არა, ფეხბურთელს შინ წერილი მიუვიდა: ასე და ასე, დასჯილი ბრძანდებიო. ცნობისთვის: ხსენებული ფულად ჯარიმა, 100 ათასი გირვანქა, გარეთ ბერის ორი კვირის ხელფასი გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ ბერის შეძენა ძალიან უნდა კლუბს, რომლის კაპიტანიც მისი გადაბმული მეგობარი სტივენ ჯერარდია — „ლივერპულზე“ მოგახსენებთ. მერსისაიდელებმა ბირმინგემელებს თავდაპირველად 12 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, შემდეგ მაზანდა 15-მდე აწიეს, ბოლოს კი ასეთი ვარიანტი უთხრეს — თხუთმეტი ერთბაშად და ორიც თანდათანობითო. „ლივერპული“ იმედოვნებს, რომ ყველაფერს ამ კვირის დარჩენილ დღეებში მოაგვარებს და მომდევნო კვირიდან ხაბი ალონსოს „იუვენტუსში“ 16 მილიონად გაყიდვას შეუდგება.

და რა პოზიცია დაიკავეს „ასტონ ვილას“ ფანებმა?

მათ ონილს დაუჭირეს მხარი. მათმა ოფიუიალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გარეთმა ის ნავი დაწვა, რომელშიც იჯდა და ახლა მათთვის უცხო ადამიანია“.

პაპუნა კედია

ფილის პირველი დღე

ინგლისელი ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ „ჩელსის“ ახალმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ სამსახურში მისვლის პირველსავე დღეს განუცხადა კლუბის დირექტორატს: „დიდი დროება შეგიძლიათ გაყიდოთ“.

ამბობენ, რომ სკოლარი დროებათი მონაგები ფულით სხვა ფეხბურთელის ყიდვას ფიქრობს.

კოტდივუარელი ვარსკვლავის გაყიდვა კი ძნელი საქმე არ უნდა იყოს. მისი შეძენით „მილანია“ დაინტერესებული, განსაკუთრებით მას მერე, რაც „არსენალიდან“ ემანუელ ადებაიორის გადაბირება ვერ მოახერხა. ცნობილია, რომ ლონდონელები დროებაში 27,6 მილიონ ევროს ითხოვენ.

სამსახურში გასვლის პირველსავე დღეს „დიდმა ფილმა“ კიდევ ერთი სატრანსფერო ოპერაცია წამოიწყო. კერძოდ, „ბარსელონას“ საფრანგეთის ნაკრების ჰავბეკი ფლორან მალუდა შესთავაზა. გამოდის, რომ ბრაზილიელი სპეციალისტის გეგმით, მალუდა 22,6 მილიონ ევროდ დაფასებული სამუელ ეტოოს ხურდაა. სხვა სიტყვებით, სკოლარის სურს, „ბარსას“ 22,6 მილიონი მთლიანად ფულად არ გადაუხადოს და თუ კატალონიელები ამ ვარიანტს დათანხმდებიან, ისინი ლონდონელთაგან მიიღებენ მალუდას პლუს იმ თანხას, რაც ფრანგს 22,6 მილიონამდე აკლია.

მოგეხსენებათ, „ჩელსის“ მადრიდის „რეალიდან“ ბრაზილიელი რობინიოს შეძენაც უნდა, მაგრამ ეს მაინც სათადარიგო ვარიანტი ყოფილა. 27 წლის ეტოოს ყიდვა სკოლარის უფრო საშურ საქმედ მიაჩნია, თუმცა არის ერთი პრობლემა: კამერუნელი თავდამსხმელი აცხადებს, მანდ თუ გადმოვალ, ხელფასად კვირაში 160 ათასი გირვანქა უნდა დამინიშნოთო. ეს, მოგეხსენებათ, რეკორდია, რომლის დამყარებას „ჩელსი“, სავარაუდოდ, არ აპირებს. სკოლარი ფიქრობს, რომ ეტოოს ვეებერთელა მადას ვეებერთელა პრემიებით დააოკებენ.

პაპუნა კედია

ლიპი პრობლემა არ არის

რონალდინიო

მარკ ჰიუზმა განაცხადა, რომ „მანჩესტერ სიტი“ ბრაზილიელი რონალდინიოს ხელში ჩასაგდებად ბრძოლას აგრძელებს და მისი დიდებული კარიერის აღდგენაც ხელეწიფება.

მოგეხსენებათ, ოთხშაბათს „სიტის“ მწვრთნელმა ამ მანჩესტერული კლუბისთვის სარეკორდო, 23,8 მილიონ ევროდ ღირებული ტრანსფერი განახორციელა — მოსკოვის ცსკა-სგან თავდამსხმელი ჟო იყიდა და სწორედ ამ ამბისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რონალდინიოს შეძენაზე სულაც არ აუღია ხელი.

აღსანიშნავია, რომ წლების წინ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე ამასწინათ გადაღებულ ფოტოზე საკმაოდ ღიპიანი ჩანდა, მაგრამ ჰიუზმა განაცხადა, რომ ეს პრობლემა არ არის, რონი წონას დაიკლებს და თავისი ჯადოსნური ფეხბურთით კიდევ ბევრს გააკვირვებს.

„ჩვენ მას დავეხმარებით და ის კვლავ მსოფლიო დონის ვარსკვლავი შეიქნება. მოგეხსენებათ, ახლა შვებულებების დროა და ისევე, როგორც უამრავი ფეხბურთელი, ისიც ვერ არის საუკეთესო ფორმაში, მაგრამ თუ „მანჩესტერ სიტიში“ გადმოვა, ეჭვი არ შეგეპაროთ, სულ მალე ძველებური რონალდინიო გახდება. ჩვენ ვიცით, როგორ უნდა ამის გაკეთება. თავის მხრივ, რონალდინიოსაც შეუძლია, ეს კლუბი უმაღლეს საფეხურზე აიყვანოს და გახდეს განსაკუთრებული ამბის მონაწილე. ერთი სიტყვით, ჩვენ მის წარმომადგენელს კიდევ ვესაუბრებით და ვიმედოვნებთ, რომ ამ საქმიდან რამე გამოვა. იმით, თუ როგორ მიდიოდა საქმეები აქამდე, ძალიან კმაყოფილები გახლდით, ამიტომ, მომავალს მოთმინებით აღჭურვილნი შევყურებთ“.

ხოლო ჟომ, რომელიც სან პაულოდან გახლავთ, ბუნებრივია, განაცხადა, რომ თუ რონალდინიო „მანჩესტერ სმიტიში“ გადავა, ის ბედნიერი იქნება.

„რონალდინიო ჩემი მეგობარია. ჩვენ სამი კვირის წინ ერთად ვიყავით დასასვენებლად, სადაც ის ამბობდა, რომ მისი შეძენით ბევრი კლუბია დაინტერესებული, თუმცა თავად გადაწყვეტილი არ აქვს, სად წავა. ერთი სიტყვით, მანჩესტერში მისი ჩამოსვლა გამორიცხული ნამდვილად არ არის. ვფიქრობ, ყველაფერი სატრანსფერო მოლაპარაკებებში ჩართულ ხალხზეა დამოკიდებული. ჩემი მხრივ კი ვიტყვი, რომ თუ რონალდინიო აქ ჩამოვა, მე ძალიან გამიხარდება“.

ჟო, რომელიც დღეს „მანჩესტერ სიტის“ სხვა ფეხბურთელებთან ერთად სეზონისთვის მზადებას გერმანიაში დაიწყებს, ჯერ კიდევ ჰიუზის წინამორბედს, სვენ-გორან ერიკსონს მოსწონდა. ჰიუზი ამბობს, რომ ერიკსონის ამ იდეას ისიც იწონებს, თუმც გასულ სეზონში თავად „ბლექბერნს“ ედგა სათავეში.

„ჟოს ტრანსფერის ამბავი მანჩესტერში ჩემს ჩამოსვლამდე უკვე მოგვარებული იყო. მე, როგორც „ბლექბერნის“ მწვრთნელს, ამ ფეხბურთელის შეძენა თავად მინდოდა, ასე რომ, რაც დამხვდა, იმან ძალიან გამახარა“.

პაპუნა კედია

მე მწამს, თქვენც ირწმუნეთ!

გარი ნევილმა კოჭის ტრავმის გამო ლამის ერთწლიანი ჯოჯოხეთი გაიარა, მაგრამ ახლა ცუდი დროება წარსულს ჩაბარდა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მარჯვენა მცველი დიდი სეზონისთვის ემზადება.

კერძოდ, ნევილს ჩემპიონთა ლიგაში თავისი გუნდის ზედიზედ მეორე გამარჯვება დაუგეგმავს. მართალია, ასეთი რამ უდიდესი საკლუბო შეჯიბრების ისტორიაში ჯერ არ ყოფილა, მაგრამ ინგლისელი ფეხბურთელის თქმით, „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ შეუძლებელი არაფერია.

„ორი აზრი არ არსებობს, ჩემპიონთა ლიგის მოგება მიზნად ახალ სეზონშიც უნდა დავისახოთ და მე ამ ტრიუმფის უშუალო მონაწილე უნდა გავხდე — განაცხადა „იუნაიტედის“ ვარსკვლავმა, რომელმაც 1999 წელს ერთხელ უკვე გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგაში — ჩვენი გუნდის ძალა უკიდეგანოა. აშკარად ვგრძნობ, რომ წარმატების მიღწევა ხელგვეწიფება, ოღონდ ამას სწორი მიდგომა სჭირდება“.

33 წლის ნევილს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძირითად შემადგენლობაში 2007 წლის მარტის შემდეგ არ უთამაშია.

„მე ყველა ღონე უნდა ვიხმარო, რათა მოვიპოვო ადგილი იმ გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რომელმაც გასულ სეზონში დუბლი შეასრულა. რასაკვირველია, ეს დიდი გამოწვევაა“.

პაპუნა კედია

ლიზბონი

კრიშტიანუ რონალდუ

თითქოს დიდი ხანი არ არის გასული, მაგრამ მას მერე, რაც კრიშტიანუ რონალდუ „მანჩესტერ იუნაიტედში“ ხალხს გამოეშვიდობა და ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. მთავარი და ყველაზე მღელვარე ის წყალი გახლდათ, პორტუგალიელმა „რეალში“ გადასვლა რომ მოიწადინა და საამისოდ „იუნაიტედიდან“ დასხლტომა ყველა შესაძლო ხერხით სცადა, მაგრამ, ბოლო ინფორმაციით, ამ ჩანაფიქრიდან არაფერი გამოვიდა და რონალდუს „ოლდ ტრეფორდზე“ მოუწია დარჩენა.

ამ დღეებში „ძე ცთომილი“ მანჩესტერული კლუბის ექიმებს შეხვდა — „იუნაიტედის“ მედიკოსთა ჯგუფი ლისაბონში ჩაფრინდა, სადაც პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის ექიმებს შეხვდა და რონალდუს მარჯვენა მუხლის ტრავმაზე ისაუბრა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ პრეს-ცენტრმა ამ შეხვედრის შემდეგ ასეთი განცხადება გააკეთა:

„ჩვენი ექიმები ლისაბონში პორტუგალიელ კოლეგებს და თავად კრიშტიანუს შეხვდნენ, რათა მისი დაშავებული მუხლის მკურნალობის საკითხი გაერკვიათ“.

გაირკვა, რომ გარემარბი ოთხ ან ექვს კვირას ვერ იბურთავებს.

„მკურნალობისა და რეაბილიტაციის პერიოდს მშობლიურ სინტრაში გავატარებ, მომავალზე კი ვერაფერს გეტყვით“ — კვლავ ბურუსით მოცული სიტყვები თქვა თავად რონალდუმ.

პაპუნა კედია

პოდოლსკი ნულია

რუმენიგემ ტყუილები დახურა

მიუნხენის „ბაიერნის“ შეფმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ ლუკაშ პოდოლსკის გაყიდვის შანსი ნულს გაუტოლა.

გერმანელმა ფორვარდმა ვერ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და ცოტა ხნის წინ თვალი გაქცევაზე ეჭირა.

„იუვენტუსი“, „მანჩესტერ სიტი“, „ტოტენჰემი“ — ეს შემოკლებული ნუსხაა პოდოლსკის მსურველი კლუბებისა. მისი გადაბირება ყველაზე მეტად „პოლდის“ ყოფილ გუნდს, „კიოლნს“ სურდა და „ბაიერნი“ ამ ვარიანტზე თითქოს ფიქრობდა, მაგრამ რუმენიგემ ესეც გამორიცხა და თქვა, რომ ფორვარდი მომავალ სეზონში „ბაიერნში“ ითამაშებს:

„საქმე დახურულია. კატეგორიულად ვამბობ, რომ პოდოლსკის შესაძლო გაყიდვაზე ნებისმიერი ინფორმაცია ტყუილია“.

ფეხბურთელი 2006 წლის ზაფხულში გადავიდა „კიოლნიდან“ მიუნხენში. პირველ სეზონში 32 მატჩში 7 გოლზე მეტი ვერ გაიტანა, მეორეში კი ლუკა ტონომ, ფრანკ რიბერიმ და მიროსლავ კლოზემ დაჩრდილეს.

ევრო 2008-ზე მარცხენა ნახევარმცველად ითამაშა და ნაკრების მთავარმეგოლეც (3 გოლი) გახდა, მაგრამ ეს პოზიაცია კლუბში რიბერიმ მიითვისა.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ თავს „კიოლნში“ ამოყოფდა და „ბილდთან“ თქვა კიდეც: „ვიცი, რომ ჩემით უცხოური კლუბები დაინტერესდნენ და ეს დიდ პატივია, მაგრამ თუ საქმე ასარჩევად მექნება, „კიოლნში“ სიამოვნებით ვითამაშებდი. მშობლები იქ მყავს და ვფიქრობ, „ბაიერნი“ გამიგებს“.

„ბაიერნმა“ ვერ გაუგო და რაკი მისი გაყიდვა გამორიცხა, 23 წლის ფეხბურთელს მომავალ სეზონში კვლავ მოუწევს ადგილისთვის ბრძოლა.

„ბასტიან შვაინშტაიგერს და ლუკაშ პოდოლსკის დიდი პოტენციალი აქვთ — განაგრძო რუმენიგემ — მაგრამ იმის გარანტიას ვერ მივცემ, რომ მუდმივად ძირითად შემადგენლობაში იქნებიან, გუნდი უკვე კარგად აწყობილ-დალაგებულია“.

გენერალურმა მენეჯერმა ული ჰოინესმა კი დასძინა, რომ „შტუტგარტიდან“ არავითარი მარიო გომესის ყიდვას არ აპირებენ და საერთოდ — ამ ზაფხულს აღარავის დაიმატებენ.

ვაჟა ხუციშვილი



ასტროლოგი ჰოროსკოპის მწვრთნელია

რაიმონ დომენკმა საფრანგეთი დაიმონა

რაიმონ დომენეკი საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელად დატოვეს და მესამე შესარჩევ წრეზე წავა.

მის ხელში საფრანგეთი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ფინალში გავიდა, სადაც, გეხსომებათ, იტალიასთან დამარცხდა.

ევრო 2008-დან კი დომენეკი შინ შერცხვენილი დაბრუნდა, რადგან ჯგუფში ბოლო საფეხურზე დარჩა.

ამის მიუხედავად, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია რაიმონ დომენეკს ენდო და მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე გუნდს კვლავ იგი უთავკაცებს.

საგანგებო სხდომა გუშინ გაიმართა და საფრანგეთი დომენეკის მოხსნას ელოდა, მაგრამ ბევრისთვის მოულოდნელად, ფედერაციის პრეზიდენტმა ჟან-პიერ ესკალეტმა განაცხადა, მწვრთნელი არ შეიცვლებაო.

ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე, საფრანგეთში ძალიან ცოტა თუ ფიქრობდა, რომ მწვრთნელი ადგილს შეინარჩუნებდა.

გუნდმა რუმინეთთან საზიზღრად ითამაშა, ჰოლანდიამ გააპარტახა და იტალიამაც ბოლო ტყვია დაახალა.

ცნობილია, რომ რაიმონ დომენეკი ფეხბურთელებს ჰოროსკოპის მიხედვით ადგენს. მაგალითად, იოან მიკუ მსოფლიოს ჩემპიონატზე იმის გამო არ წაიყვანა, რომ მორიელია. მორიელებს თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება აქვთო, ამტკიცებდა მწვრთნელი.

იმავე ჩემპიონატზე ჯგუფში უსახური თამაშის გამო ფრანგთა მალევე გავარდნას ვარაუდობდნენ, თუმც ზიდანმა ათრია, ფინალში გაიყვანა და დომენეკმა სკამი შეინარჩუნა.

მისი ადგილის დაკავებას დიდიე დეშანს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ რაიმონ დომენეკმა უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინისგან და ახალგაზრდა ფეხბურთელებისგან მიიღო მხარდაჭერა.

მის წინააღმდეგ კი ერიკ კანტონა, კრისტოფ დუგარი, მარსელ დესაი, კრისტიან კარამბე და სხვა ძველი მოთამაშეები იყვნენ.

დიუგარიმ თქვა, დომენეკს ფეხბურთი არ უთამაშია და მწვრთნელადაც არ ივარგაო, ხოლო კანტონამ უფრო მაგარი დაახეთქა: „თუ კი რამ ფეხბურთში მეზიზღება, ყველაფერი დომენეკის ტაქტიკაშია თავმოყრილი“.

საფრანგეთის ნაკრები შესარჩევ ეტაპს 6 სექტემბერს ავსტრიასთან მატჩით იწყებს, 10-ში სერბეთს ხვდება და 11 ოქტომბერს რუმინეთს.

ვაჟა ხუციშვილი

მირორმა არშავინი გააფრინა

„დეილი მირორის“ ცნობით, „ზენიტმა“ „ჩელსის“ ანდრეი არშავინის მიყიდვაზე დასტური უთხრა. რომან აბრამოვიჩი 12 მილიონ გირვანქას გადაიხდის, ფეხბურთელი კი დღე-დღეზე ლონდონში ფრენაფრენით ჩავა.

გარდა ამისა, ჩელსელები „სიტის“ მცველით მაიკა რიჩარდსითაც დაინტერესებულან, რომელიც მანჩესტერულ კლუბს 20 მილიონ გირვანქად შეუფასებია.

პავლიუჩენკომ ბლინდი დაამუნჯა

ჰოლანდიურმა Voetbal International-მა დაწერა, რომ „აიაქსიდან“ წასასვლელად გამზადებული კლაას იან ჰუნტელაარის შემცვლელად ამსტერდამულ კლუბს რომან პავლიუჩენკო უნდა.

„აიაქსის“ ტექნიკურმა დირექტორმა დანი ბლინდმა ამ ამბავთან დაკავშირებით არაფრის თქმა არ ისურვა.

ჰუნტელაარმა, ვისი კონტრაქტიც 2010-ში იწურება, კლუბთან ხელშეკრულების გახანგრძლივება იაუარა და შესაძლოა, ამ ზაფხულს აიბარგოს.

ვაჟა ხუციშვილი

პატიმრის ნაამბობი

გაერთიანებული ოპოზიცია ალენ პერენის წინააღმდეგ

ნაცნობი სიუჟეტია — გუნდიდან გაშვებული და ნაწყენი მწვრთნელი ცოტა ხანს დაისვენებს და მერე ყოფილი კლუბის შეფებს შორიდან ეჩხუბება.

ასე მოიქცა ამ ზაფხულს „ლიონიდან“ გათავისუფლებული ალენ პერენი, რომელმაც პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა და მისი დამქაშები შეთქმულებასა და ინტრიგების ხლართვაში დაადანაშაულა.

ალენ პერენმა გუნდი შარშან ჩაიბარა და კლუბის ისტორიაში პირველი მწვრთნელი გახდა, რომელმაც დუბლი შეასრულა — საფრანგეთის თასი და ჩემპიონატი მოიგო.

მიუხედავად ამისა, იგი ივნისის შუაში დაითხოვეს და კლოდ პიუელით შეცვალეს.

„ლიონის“ პრეზიდენტმა ოლამ მწვრთნელს ჩემპიონთა ლიგაში უხეირო გამოსვლა დაუწუნა და მისი გაშვების მიზეზადაც ეს დაასახელა, მაგრამ პერენი ამტკიცებს, რომ განტევების ვაცად აქციეს.

„მალევე მივხვდი, რა კაციც იყო ოლა — თქვა პერენმა „ფრანს ფუტბოლთან“ — როცა პრესას განუცხდა, რომ მთელი პასუხისმგებლობა მე მეკისრება ყველაფე ცუდზე, რაც კი გუნდში მოხდება.

პრეზიდენტი ხშირად ტყუოდა მედიასთან და ისეთ სურათს ხატავდა, თვითონ რომ აძლევდა ხელს. და თუ შენ გსურს საკუთარი ძაღლის მოკვლა, რაც გინდა, იმას მოუმიზეზებ“.

ალენ პერენი ხედავდა, რომ ჟან-მიშელ ოლა პრესაში მის სახელს კარგად არ ახსენებდა, მაგრამ მთავარი იტრიგანები სხვები აღმოჩნდნენ: მეკარეების და ფიზმომზადების მწვრთნელები ჟოელ ბატსი და რობერ დიუვერნე. სწორედ ესენი ცდილობდნენ ლაფში პერენის ამოსვრას.

ჯერ კიდევ შარშან გამოჟონა „ლიონიდან“, რომ ალენ პერენს ამ ორთან ურთიერთობა წაუხდა. საბოლოოდ სწორედ მათ გააგდეს მწვრთნელი გუნდიდან.

„მუშაობის დაწყებიდან ორ კვირაში შევამჩნიე, რომ ბატსი და დიუვერნე ოპოზიციაში ჩამიდგნენ — გაიხსენა პერენმა — ისინი ქვეშქვეშობით ცდილობდნენ ჩემთვის ძირის გამოთხრას, კლუბის მენეჯერის (ბერნარ ლაკომბი) და ფეხბურთელების ჩემს წინააღმდეგ ამხედრებას, მაგრამ ლაკომბთან ვმეგობრობდი და ყველაზე თავგამოდებულ დამცველად მენეჯერი მყავდა.

ისე თუ არ მოვიქცეოდი, როგორც მათ (ბატსი და დიუვერნე) სურდათ, შეიძლებოდა ეტირათ. ისეთ უბედურ დღეში ჩავვარდი, რომ თავი დამწყები მწვრთნელი მეგონა“.

გაირკვა, რომ ბატსი და დიუვერნე ალენ პერენის დანიშვნის წინააღმდეგნი იყვნენ ჟერარ ულიეს წასვლის შემდეგ და სხვა მწვრთნელი უნდოდათ.

„მათი კანდიდატი რემი გარდი იყო, რომელიც ულიეს თანაშემწედ მუშაობდა. მე მუდამ გულწრფელად და პირდაპირ ვესაუბრებოდი ფეხბურთელებს, რადგან ვიცოდი, რომ ბატსი და დიუვერნე ჩემზე ცუდ რამეებს ეუბნებოდნენ და გუნდში ვითარების წაბილწვას ცდილობდნენ“.

მოკლედ, ნაწყენმა ალენ პერენმა გული „ფრანს ფუტბოლს“ გადაუშალა და ბოლოს თქვა:

„ორი ჯილდო მოვიპოვეთ, დიდებული სეზონი გვქონდა, მაგრამ ძალიან გულნატკენი წავედი „ლიონიდან“. თითქმის არაფერი გამხარებია და კარიერაში ყველაზე უარესი წელი იყო. პარადოქსია, რომ ასეთ პირობებში მუშაობა და ტიტულების მოგება მოვახერხე, მაგრამ თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ციხეში“.

ვაჟა ხუციშვილი

ევროპელი ქურდები

პომპილიო გააპამპულეს

სებასტიან ნაიარმა „ბოკა ხუნიორსი“ გააგიჟა. ბიჭმა გუნდში ერთი მატჩი ითამაშა, ბურთი მიაგდო და უმალ ევროპაში გამოფრინდა „უელვასთან“ კონტრაქტზე მოსალაპარაკებლად.

ამ ამბავს დიდი რიარია მოჰყვა და ბაირესელების პრეზიდენტი პედრო პომპილიო ფიფას კარზე დაბრახუნებას აპირებს. „ჩვენ წარვადგენთ კონტრაქტს, რომლითაც ნაიარი 2012 წლამდე გვეკუთვნის და ეს არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დამოწმებულია“ — თქვა პრეზიდენტმა.

არგენტინული მედიის ცნობით, სებასტიან ნაიარმა მაისში პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში „რასინგის“ წინააღმდეგ და მოედანზე 90 წუთი არც გაუტარებია. მას შემდეგ გააბა თურმე მოლაპარაკება ესპანურ კლუბთან.

„დარჩენა და იმის დამტკიცება მსურდა, რომ ამ გუნდში ადგილს ვიმსახურებდი — განაცხადა 20 წლის ნახევარმცველმა — მაგრამ ევროპაში თამაშის შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი. მატარებელი მეორედ აღარ გამოივლის და შეხტომა უნდა მოასწრო.

იანვარშივე ვაპირებდი წასვლას, მაგრამ „ბოკამ“ არ გამიშვა. მერე ჰოლანდიური კლუბი მეპატიჟებოდა და ჩემმა კლუბმა დააშინა — ექვსი მილიონი დოლარი მოითხოვა ფეხბურთელში, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში ერთი მატჩი ჰქონდა ნათამაშები“.

სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელები მოდებულნი არიან ევროპას. „რივერ პლეიტის“ პრეზიდენტმა ხოსე მარია აგილარმა თქვა: „ფიფას წესი, რომელიც ერთი ქვეყნის გუნდიდან მეორე ქვეყნის გუნდში 18 წლამდე ფეხბურთელის გადასვლას კრძალავს, ფეხებზე დაიკიდეს. ესპანელები თაღლითობით ახერხებენ აქედან 14 წლის ბავშვების წაყვანას და, ფაქტობრივად, მოთამაშეებს გვპარავენ“.

ვაჟა ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანური პრობლემები



ადრიანო გალიანი

როგორც ჩანს, იტალიურმა „მილანმა“ საბოლოდ ჩაიქნია ხელი ემანუელ ადებაიორზე, რომელშიც „არსენალი“ 35 მილიონ გირვაქნას ითხოვს. „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ამას არარეალური მოთხოვნა უწოდა.

„ადებაიორის ყიდვა ძალიან გვინდოდა, მაგრამ „არსენალი“ 35 მილიონ გირვაქნას ითხოვს და ვერცერთი იტალიური გუნდი ვერ შეძლებს ამდენის გადახდას. ჩვენთან სხვანაირი კანონებია და ამხელა ფულის გაღება არ შეგვიძლია, სწორედ ამიტომ აღარ ჩამოდიან საუკეთესო ფეხბურთელები სერია A-ში. როცა საქმეში „ბარსელონას“ და „ჩელსის“ დარი შეძლებული კლუბები ერთვებიან, მათთან კონკურენცია შეუძლებელი ხდება“ — აღნიშნა გალიანიმ.

ტოგოელი ფორვარდი კი მაინც „მეთოფეების“ დატოვებაზე ფიქრობს, რადგან ხელფასის თითქმის ოთხჯერ გაზრდას ითხოვს, რაზეც ლონდონელები უარს ეუბნებიან.

გავრცელდა ინფორმაცია, ახლა „მილანი“ „არსენალის“ მეორე ფორვარდზე, ნიკლას ბენდტნერზე გადაერთოო, მაგრამ ეს ამბავი ჯერ არცერთ მხარეს არ დაუდასტურებია. 20 წლის დანიელის აგენტმა თქვა, ჯერ არანაირი წინადადება არ ყოფილა, მაგრამ თუ შემოთავაზებას მივიღებთ, სიამოვნებითაც განვიხილავთო.

უფრო რეალური კი ისევ რონალდინიოს ტრანსფერია, რომლისადმი ინტერესიც „მილანმა“ ბოლო დღეებში განაახლა და ორშაბათიდან „ბარსელონასთან“ მოლაპარაკებას კიდევ ერთხელ ეცდება.

კვირას კატალონიური კლუბის პრეზიდენტის არჩევნებია. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ხუან ლაპორტა პოსტზე დარჩება და ერთ-ერთი პირველი, რასაც გააკეთებს, ალბათ რონალდინიოს გაყიდვა იქნება.

ბრაზილიელს არაერთხელ უთქვამს, „მილანში“ სიამოვნებით ვითამაშებდიო. თუმცა ისიც კი ითქვა, რონალდინიომ დევიდ ბექემის „ლოს ანჯელეს გელექსისთანაც“ დაიწყო მოლაპარაკებაო.

სანამ „მილანი“ სატრანსფერო ბაზარზე საქმეების მოგვარებას ცდილობს, ფანები უკმაყოფილებას არც მალავენ და „საპროტესტო ნოტაც“ გამოაცხვეს.

წერილი ასეთი შინაარსისაა: „ინგლისისა და ესპანეთის წამყვან კლუბებს თუ შევადარებთ, „მილანს“ რესურსი აშკარად აკლია და კლუბის გვარიანად გადახალისებაა საჭირო. ამიტომ გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება მეტი ქომაგი შევიკრიბოთ და პროტესტი გამოვხატოთ. პრეზიდენტსა და მთელ ხელმძღვანელობას მადლობას ვუხდით ბოლო ორი წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოსთვის, ბრწყინვალე გუნდი გვყავდა და ბევრი ტიტულიც მოვიპოვეთ. თუმცა ახლა მათ ფანებში პატივისცემა, ნდობა და სიყვარული უნდა აღიდგინონ“.

და ბოლოს, რონალდოზეც ვთქვათ. 31 წლის ბრაზილიელ თავდამსხმელს, რომელიც მუხლის ტრავმას მკურნალობს, „მილანთან“ კონტრაქტი ამოწურა და თავისუფალი აგენტი გახდა. „როსონერი“ ფიქრობს, გაუფორმოს თუ არა ახალი ხელშეკრულება. საკუთრივ იტალიური პრესა კი ვარაუდობს, რომ მილანელები „კიჭასთან“ თანამშრომლობას აღარ გააგრძელებენ.

ამბობენ, რონალდოს გადაბირების სურვილს თურქული „ფენერბაჰჩე“ და რამდენიმე რუსული კლუბი გამოთქვამს, რომელთა შორის განსაკუთრებით „სატურნი“ აქტიურობს.

გიორგი კაკაბაძე

ლიპის სამაგალითო დე როსია

მარჩელო ლიპი ნაკრების გაახალგაზრდავებაზე რომ აკეთებს აქცენტს, არახალია. იტალიელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნებულმა ტაქტიკოსმა ამას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და ყველაბის თავკაცებთანაც კი. სწორედ ეს დაეხმარა დე როსის ძირითად ნაკრებში ერთ წელზე ადრე მოხვედრაში. იგი ნიჭიერია და უკვე მზად იყო ასეთ დონეზე სათამაშოდ, ჩვენც რატომ უნდა გვეცადა? მართალია, 21-წლამდელთა ნაკრები დაზარალდა ვარსკვლავის დაკარგვით, მაგრამ თავად ფეხბურთელისთვის ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე უკეთესი ვერაფერი მოხდებოდა და „სკუადრა აძურამაც“ ისარგებლა“ — თქვა ლიპიმ.

იტალიას გაახალგაზრდავება მართლაც სჭირდება, ბევრი „სკუადრა აძურას“ გადაბერებული შემადგენლობის გამო აკრიტიკებს. თუმცა ახალგაზრდა ფეხბურთელების განვითარების პრობლემა სერია A-შიც არის და სხვა ევროპულ ლიგებშიც. როგორც წესი, კლუბები საძრეთამერიკელების ყიდვას ამჯობინებენ შინაურების აღზრდას და მათი ათამაშების ლოდინს, რადგან მეორე შემთხვევა უფრო სარისკოცაა და უფრო ძვირიც.

„კლუბებს ვერ ვთხოვ ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოყენებას, რადგან სხვის საქმეში ცხვირს ვერ ჩავყოფ. ისეთივე სტილით გავაგრძელებ მუშაობას და კონსულტაციებს, როგორც აღრე. საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს გრანდების გაწვრთნისა, რომლებიც ყოველ სამ დღეში ერთხელ თამაშობენ. შესაბამისად, კლუბებისა თუ ფეხბურთელების მოთხოვნებსა და მდგომარეობას კარგად ვიცნობ. გადავწყვიტეთ, ფეხბურთელები, რომლებიც ნაკრების ბირთვს წარმოადგენენ, ნაკლებად მნშვნელოვან ამხანაგურ ლიური კლუბებისა და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელებთან, მათ შორის 15-წლამდელთა ნაკრებიც აღნიშნა ლიპიმ.

„რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი: „ლიპისა და მის სამწვრთნელო შტაბს ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ. მათთან პიროვნული და პროფესიული კუთხითაც ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს. ამ მომენტში მხოლოდ ჩემს მუხლზე ვფიქრობ. იმედია, მალე მოვრჩები და სექტემბერში მაინც დავუბრუნდები მინდორს“.

„ძალიან გამიხარდება, თუ ტოტი ნაკრებში დაბრუნდება. მასთან ყველაფერზე მაქვს ნალაპარაკები ამის გარდა. როცა მწვრთნელი იცვლება, ეს ყველაფერს ეხება, მაგრამ ამჯერად უბრალოდ ის შტაბი გვიბრუნდება, რომლითაც 2006 წლის მუნდიალი მოვიგეთ და ეს ჩინებულია. მსოფლიოს ჩემპიონატზე ყოველთვის დამატებითი მოტივაცია გაქვს. დონადონიზე გული დამწყდა. მას რამდენიმე დღის წინ ველაპარაკე. რობერტოს ძალიან რთულ პერიოდში მოუწია მუშაობა და ვწუხვარ, რომ ასე მოხდა. ესპანეთთან პენალტი რომ გამეტანა, ეგებ სხვაგვარადაც ყოფილიყო საქმე. ლიპი კი ის ადამიანია, რომელმაც ჩემს სანაკრებო კარიერას ჩაუყარა საფუძველი და ფინალში მათამაშა, როცა არავინ მენდობოდა“ — განაცხადა დე როსიმ.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯანკარლო აბეტე: „რობერტო დონადონისადმი, როგორც პიროვნებისა და პროფესიონალისადმი ჩემი პატივისცემა მრავალჯერ გამოვხატე. რაც შეეხება მარჩელო ლიპის, ვფიქრობ, საკეთესო არჩევანი გავაკეთეთ. ლიპი სწორედ მატჩებში ზედმეტად არ დავტვირთოთ და თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდებს მივცეთ“ — აღნიშნა ლიპიმ.

ლუკა ტონი და ანტონიო დი ნატალემ დონადონი დაიცვეს. გარკვეულწილად, ორივე მათგანმა იტალია დააღლიტა და, შესაბამისად, დონადონიც.

ტონისგან ყველა გოლების წვიმას ელოდა, მაგრამ მიუნხენის „ბაიერნის“ ფორვარდი მხოლოდ ბევრი გამოუყენებელი მომენტით შემოიფარგლა. დი ნატალემ კი, რომლისადმიც დონადონის განსაკუთრებული სიმპათია ჰქონდა და მას ძალიან ენდობოდა, გადამწყვეტი პენალტი გააცუდა ესპანეთთან მატჩში.

„შესაძლოა, ჩემს გოლს და, მით უმეტეს, გოლებს დონადონი ეხსნა. ძალიან მინდოდა გატანა და ყველანაირად ვცდილობდი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მიუხედავად ამისა, მთლად უსარგებლო არ ვყოფილვარ. არ შეიძლება მწვრთნელის შეფასება მხოლოდ ერთი მატჩით, რომელიც პენალტებში წავაგეთ. დონადონიმ კარგად იმუშავა, მაგრამ მისი მოხსნა მაინც გადაწყვიტეს, ეს უკვე ფეხბურთელების კომპეტენცია აღარ არის“ — თქვა ტონი.

ტოტო დი ნატალე: „ეს იყო ორი ბრწყინვალე წელი და მინდა დონადონის მადლობა გადავუხადო. ესპანეთმა ევრო 2008-ზე საუკეთესო ფეხბურთი ითამაშა და მხოლოდ ჩვენ ვერ მოგვიგო და გოლიც ვერ გაგვიტანა. პენალტებში წავაგეთ, რაც, ცხადია, ძალიან დასანანია, ფინალში გასვლის და ტურნირის მოგების კარგი შანსი გვქონდა. ახლა ვეცდები, „უდინეზეს“ მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო. ვნახოთ, მომიწვევს თუ არა ლიპი“.

გიორგი კაკაბაძე

დი მატეო ნაინსარზე

„ლაციოს“ და „ჩელსის“ ყოფილი ნახევარმცველი რობერტო დი მატეო ინგლისის პირველი ლიგის „მილტონის“ მწვრთნელად დანიშნეს. იტალიელს ერთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს გახანგრძლივების პერსპექტივით.

38 წლის იტალიელმა პოლ ინსი შეცვალა, რომელიც დაწინურდა და „ბლექბერნის“ თავკაცი გახდა.

რობერტო დი მატეოსთვის ეს სამწვრთნელო დებიუტი იქნება. მას აქამდე არსად უმუშავია. იტალიელმა კარიერა ტრავმის გამო 2002-ში, „ჩელსიში“ თამაშისას დაასრულა. „ჩელსიმდე“ „შაფჰაუზენში“, „ციურიხში“, „აარაუსა“ და „ლაციოში“ იყო.

ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში (1997) დი მატეომ „მიდლსბროს“ გოლი 43-ე წამზე გაუტანა.

ზაპოტოჩნი ბეშიქთაშში

იტალიურმა „უდინეზემ“ ჩეხი მცველი ტომაშ ზაპოტოჩნი თურქულ „ბეშიქთაშში“ გაყიდა. გავრცელებული ცნობით, 27 წლის ფეხბურთელმა სტამბოლელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სეზონში 800 ათას ევროს მიიღებს. „ლიბერეცის“ ყოფილი ფეხბურთელი „ძებრეტენში“ გასულ ხზაფხულს გადავიდა, მაგრამ მოლოდინი ვერ გაამართლა.

პასკუალინის აზრები

ტრანსფერების ექსპერტმა კლაუდიო პასკუალინმა ორი საინტერესო განცხადება გააკეთა — შესაძლოა, ანდრეი შევჩენკო „სამპდორიაში“ ვიხილოთ, ხოლო ფრენკ ლამპარდის „ინტერში“ გადასვლის ამბავი, მისი აზრით, უკვე გადაწყვეტილია.

„ცოტა უნდა დავიცადოთ და დიდი შანსია, შევჩენკო „სამპდორიაში“ ვიხილოთ. რომან აბრამოვიჩმა იგი შესაძლოა უფასოდ გაანათხოვროს. ეს ყველასთვის კარგი იქნება. შეხედეთ, როგორ აათამაშეს გენუელებმა ანტონიო კასანო. ლამპარდი კი მგონი, უკვე „ინტერის“ ფეხბურთელად უნდა ჩავთვალოთ. ჩემი აზრით, მალე ეს ტრანსფერი ოფიციალურად გაცხადდება“ — თქვა პასკუალინმა.

კოლოჩინის პეკინი დეპორტივოშია

ლა კორუნიის „დეპორტივო“ ოლიმპიადაზე ფაბრიციო კოლოჩინის გაშვებას არ აპირებს.

არგენტინელ მცველს ძალიან უნდოდა ოლიმპიურ ნაკრებში ბურთის გაგორება, მაგრამ მწვრთნელმა მიგელ ანხელ ლოტინამ ბრძანა:

„ჩვენ მას ჩინეთში ვერ გაგიშვებთ. ფაბრიციო გუნდთან ერთად უნდა დარჩეს და მომავალი სეზონისთვის მშვიდად მოემზადოს“.

ვაჟა ხუციშვილი

კიელინი ბავშვობის მეგობარს ეპატიჟება



ჯორჯო კიელინი „რომას“ ნახევარმცველს ალბერტო აკვილანის „იუვენტუსში“ ეპატიჟება. ტურინელებს მისი გადაბირება კი სურთ, მაგრამ „გლადიატორები“ უარზე არიან და, რაც მთავარია, თავად ფეხბურთელსაც „სტადიო ოლიმპიკოზე“ დარჩენა სურს.

„იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებებში ალბერტოსთან ერთად 15 წლის ასაკიდან ვთამაშობ, ახლა კი „სკუადრა აძურაში“ მოვხვდით ერთად. ჩვენი შშობლები ახლო მეგობრები არიან. აკვილანის ხშირად ველაპარაკები და აქტიურად ვცდილობდი, დამერწმუნებინა, რომ „იუვენტუსში“ გადმოსულიყო. ვეუბნებოდი, თუ რა კარგი ქალაქია ტურინი და, უბრალოდ, გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო-თქო, მაგრამ ვითარება მარტივი არ არის, იგი „რომაში“ აღიზარდა და ძალიან მიჯაჭვულია გუნდზე“ — თქვა „ბებერი ქალბატონის“ მცველმა.

„იუვენტუსი“ ნახევარმცველს რომ ეძებს, კარგადაა ცნობილი. კანდიდატი ბევრია: ლუკა ჩიგარინი, კრისტიან პოულსენი, მარეკ ჰამშიკი... ყველაზე რეალურ ვარიანტად ამჟამად ხაბი ალონსო ან დეიან სტანკოვიჩი ჩანს.

სტანკოვიჩის ყიდვას ფანები ეწინააღმდეგებიან კატეგორიულად. ალონსოს შემთხვევაში კი „ლივერპულთან“ ფასია შესათანხმებელი. ბოლო ინფორმაციით, ტურინელებმა მერსისაიდელებს 20,5 მილიონი ევრო შესთავაზეს და ყველაფერი ალბათ უახლოეს დღეებში გაირკვევა, ესპანელი ნახევარმცველი ან გადავა „ბიანკონერიში“, ან არა. ამბობენ, „იუვე“ მეტის გადამხდელი არ არისო.

ჯორჯო კიელინი: „ალონსოს მაღალ სათამაშო კლასში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. მან „ლივერპულში“ ყველაფერი დაამტკიცა. ხაბი ჩინებული ფეხბურთელია და გაგვაძლიერებდა. ნამდვილი ჩემპიონი გვჭირდება, „მილანს“, „ინტერსა“ და „რომას“ რომ შევებრძოლოთ. ვიცი, რომ სხვა კანდიდატებიც არიან, მაგალითად, სტანკოვიჩი. ბუნებრივია, რომ „ინტერში“ გატარებული რამდენიმე სეზონი მერე, იგი ფანებში პოპულარული არ არის. თუმცა ასეთი დონის ფეხბურთელს მალე შეუძლია ქომაგების გულის მოგება. არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხელმძღვანელობა, მაგრამ გულშემატკივრებს შეუძლიათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თუ სტანკოვიჩი მოვა, იგი ყველაფერს გააკეთებს, რათა დავივიწყოთ, რომ „ინტერში“ თამაშობდა“.

აქვე აღვნიშნოთ, რომ „იუვენტუსმა“ და „პალერმომ“ ოფიციალურად დაასრულეს დავიდე ლანძფამეს ტრანსფერი — ახალგაზრდა ფეხბურთელი სიცილიელთა რიგებში 5 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა, ხოლო „ბებერი ქალბატონის“ 24 წლის შემტევი რაფაელე პალადინო მომავალ სეზონს „ჯენოაში“ გაატარებს. გენუელებმა მისი კონტრაქტის 50 პროცენტი 5,5 მილიონად შეიძინეს.

გიორგი ქაქაბაძე

მესის მამა ინტერს არ გამორიცხავს

ახალგაზრდა არგენტინელ ვარსკვლავს ლიონელ მესის „ინტერი“ საკმაო ხანია უტრიალებს, მაგრამ 21 წლის ფეხბურთელი „ბარსელონაში“ თავს მშვენივრად გრძნობს და ძნელად სავარაუდოა, „ნოუ კამპის“ დატოვება ისურვოს. თუმცა მესის მამა ხორხე ცოტა სხვაგვარი აზრისაა.

შეგახსენებთ, რომ მესის იტალიური სისხლი ურევია. ბრაზილიელი სისინიოსა და მისი ბაბუები იტალიის ერთ პატარა სოფელში ოდესღაც მეზობლები ყოფილან.

„ახლა მხოლოდ „ბარსელონაზე“ ვფიქრობთ, რომელიც ლეოსთვის მეორე სახლია. მას უნდა, რომ ტრავმასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა რაც შეიძლება მალე უკან მოიტოვოს. თუმცა იტალიაში თამაშზე ყველა ფეხბურთელი ოცნებობს და მათ შორის ჩემი ვაჟიც — არავინ იცის, რა იქნება მომავალში. ოდესმე ოცნება შეიძლება რეალობად იქცეს“ — თქვა ხორხე მესიმ.

„ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ რამდენჯერმე განაცხადა, მესის დიდი სიამოვნებით ვიყიდდი და იქნებ, ერთხელ ასეც მოხდესო.

ხორხე მესი: „ინტერთან“ ოფიციალური კონტაქტი არასოდეს გვქონია. ხაზს გავუსვამ — ოფიციალური. თუმცა ამ საკითხზე მეტის არაფრის თქმა არ მინდა. როგორც უკვე ვთქვი, მომავალში ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

კოტი კანდელაკი

ბალაკი ბირჰოფს მადლობისთვის ეჩხუბა

გერმანული „კიკერი“ რომ სოლიდური და სანდო გამოცემაა, ვინძლო, გეცოდინებათ. ჰოდა, „კიკერმა“ გუშინ ინფორმაცია გაავრცელა, ნაფინალევს მიხაელ ბალაკმა და ოლივერ ბირჰოფმა მაგრად იჩხუბესო. რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც: ბირჰოფი გერმანიის ნაკრების მენეჯერია, ბალაკი ამავე ნაკრების ლიდერი და კაპიტანი, ხოლო ევროპის ჩემპიონატის ფინალში გერმანიამ ესპანეთთან 0:1 წააგო.

ერთი განმარტებაც: ჩხუბში კინკლაობა, კამათი და გინება კი არა, მართლა ხელის შეხებამდე მისული გარჩევა იგულისხმება.

და რამ გამოიწვია ეს ამბავი? ოლივერ ბირჰოფს სხვა წმინდა სპორტული საკითხების გარდა, ნაკრების იერსახეზე, ქცევასა და პიარ-აქციებზე ზრუნვაც ევალება. წაგებული ფინალის მერე ბირჰოფს ნირწამხდარი ფეხბურთელებისთვის შეუხსენებია, გერმანელი გულშემატკივრების ტრიბუნასთან მისვლა და მხარდაჭერისთვის მადლობის გადახდა არ დაგავიწყდეთო. ამაზე ბალაკს ნერვები ვერ მოუთოკავს და ბირჰოფისთვის პრანჭია და სხვა მსგავსი ეპითეტები უძახია.

„კიკერი“ იმასაც წერს, ამ ორი ქარიზმატული ადამიანის ჩხუბი, ვინ იცის, სადამდე მივიდოდა, შუაში ხალხი რომ არ ჩამდგარიყო.

კოტე კეკელია

ლიბერტადორესის თასი 2008

ფინალი. საპასუხო მატჩები

ფლუმინენსე (ბრაზილია) 3:1 (პენ.1:3) ლიგა დე კიტო (ეკვადორი) (2:4)

0:1 ბოლანიოსი (5), 1:1, 2:1, 3:1 ტიაგუ ნევეში (11, 27, 56)

ფლუმინენსე: ფერნანდუ ენრიკე, გაბრიელი (მაურისიუ 105), ტიაგუ სილვა, ლუიშ ალბერტუ, იგორი (დოდო 46), ჟუნიორ სეზარი, აროუჯა (როჟერი 110), სისერო, კონჯა, ტიაგუ ნევეში, ვაშინგტონი

მწვრთნელი: რენატუ გაუშუ

ლიგა დე კიტო: სევალიოსი, კამპოსი, კაიე, ნ. არაუხო, ამბროსი, გერონი, ვერა, ურუტია, ბოლანიოსი (სალასი 105), მანსო (ვ. არაუხო 87), ბიელერი

მწვრთნელი: ედგარდო ბაუსა

გაფრთხილება: ბიელერი, ვერა, სისერო, ლუიშ ალბერტუ, ტიაგუ სილვა, სევალიოსი, გერონი, ლუიშ ალბერტუ

გაძევება: ლუიშ ალბერტუ (120)

მსაჯი: ექტორ ბალდასი (არგენტინა)

86 000 მაყურებელი

ეკვადორული მერცხალი

ფლუ ვერც ნევეშის გმირობამ იხსნა

არის! — ეკვადორული „ლიგა დე კიტო“ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონია! მატჩისშემდგომი პენალტები გახდა საჭირო იმისთვის, რათა უძლიერესის ვინაობა გარკვეულიყო. ბრაზილიურ კლუბს პირველი ფინალური მატჩი 2:4 ჰქონდა წაგებული და საპასუხოშიც ლეგენდარულ „მარაკანაზე“, 86 ათასი ქომაგის თვალწინ საამო ფეხბურთიც ეთამაშა ეკვადორელებს. მართალია, უკვე მე-5 წუთზე ხორხე ბოლანიოსის გოლით „ფლუ“ 0:1 აგებდა, მაგრამ ბრაზილიელებს გუშინწინ ჰყავდათ ტიაგუ ნევეში, ფორვარდი, რომელმაც ჰეთ თრიქი კი შეასრულა, თუმც საბოლოო გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ გამოდგა.

ლდუ პირველი ეკვადორული გუნდია, რომელმაც ისტორიულ წარმატებას მიაღწია, რასაც მეკარე ხოსე სევალიოსს უნდა უმადლოდეს — გოლკიპერმა სამი თერთმეტმეტრიანი მოიგერია.

„სამი გოლი შევაგდე, მაგრამ რად გინდა, თასი ვერ მოვიგეთ. მაინცდამაინც პენალტი ვერ გავიტანე. ძალიან გულდაწყვეტილები ვართ ყველა, რომ დავმარცხდით“ — ნამატჩევს დამწუხრებული გახლდათ ბრაზილიელთა მეგოლე ტიაგუ ნევეში, თუმც ეკვადორელებს გამარჯვება მაინც გულით მიულოცა: „ლდუ-ს ვულოცავ, ბრწყინვალე გუნდია, რომელიც „მარაკანაზე“ ფეხბურთის სათამაშოდ გვესტუმრა და მართალია, პენალტებით, მაგრამ მაინც მოგვიგო“.

გულშემატკივრები, რომლებიც მთელი თამაშის განმავლობაში მხურვალედ ქომაგობდნენ „ფლუს“, დაჯილდოების ცერემონიალს აღარ დალოდებიან, 86-მა ათასმა კაცმა ტრიბუნა სულ რაღაც 20 წუთში დააცარიელა, თუმც ამაზე დიდად არ უნაღვლიათ სტუმრებს, მათ თასი მოიგეს და ტიტული ცხვირწინ ააცალეს. სხვათა შორის, მოგების შემთხვევაში, „ფლუმინენსეც“ ისტორიაში პირველად მოიგებდა ჯილდოს, მაგრამ...

ასე და ამგვარად, ლიბერტადორესის თასის 49-ე გათამაშება უკვე წარსულია, ტროფეის მოგების მხრივ რეკორდსმენები არგენტინული კლუბები არიან, მათ 21-ჯერ მოიგეს ჯილდო. მეორე ადგილზე, რა მიხვედრა უნდა, ბრაზილიელები არიან (13), მესამეზე კი ურუგვაელები (8). გუშინწინ კი მათ პატარა ეკვადორული „ლიგა დე კიტოც“ შეუერთდა.

გიორგი ვაშაკიძე

კიტოელებმა თასი დაცარიელებულ „მარაკანაზე“ აღმართეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერტადორესის თასის ყველა ფინალი

1960 --- პენაროლი (ურუგვაი) — ოლიმპია (პარაგვაი) ---------- 1:0, 1:1
1961 ---- პენაროლი (ურუგვაი) — პალმეირასი (ბრაზილია) ---------- 1:0, 1:1
1962 --- პენაროლი (ურუგვაი) -- სანტოსი (ბრაზილია) ---------- 1:2, 2:3, 0:3
1963 --- სანტოსი (ბრაზილია) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) ---------- 3:2, 2:1
1964 --- ნასიონალი (ურუგვაი) — ინდეპენდიენტე (არგენტინა) ---------- 0:0, 0:1
1965 --- ინდეპენდიენტე (არგენტინა) — პენაროლი (ურუგვაი) ---------- 1:0, 1:3, 4:1
1966 ---- პენაროლი (ურუგვაი) — რივერ პლეიტი (არგენტინა) ---------- 2:0, 2:3, 4:2
1967 --- რასინგი (არგენტინა) — ნასიონალი (ურუგვაი) ---------- 0:0, 0:0, 2:1
1968 --- ესტუდიანტესი (არგენტინა) — პალმეირასი (ბრაზილია) ---------- 2:1, 1:3, 2:0
1969 ---- ნასიონალი (ურუგვაი) — ესტუდიანტესი (არგენტინა) ---------- 0:1, 0:2
1970 --- ესტუდიანტესი (არგენტინა) — პენაროლი (ურუგვაი) ---------- 1:0, 0:0
1971 ---- ესტუდიანტესი (არგენტინა) — ნასიონალი (ურუგვაი) ---------- 1:0, 0:1, 0:2
1972 --- უნივერსიტარიო (პერუ) — ინდეპენდიენტე (არგენტინა) ---------- 0:0, 1:2
1973 --- ინდეპენდიენტე (არგენტინა) — კოლო კოლო (ჩილე) ---------- 1:1, 0:0, 2:1
1974 --- სან პაულუ (ბრაზილია) — ინდეპენდიენტე (არგენტინა) ---------- 2:1, 0:2, 0:1
1975 --- უნიონ ესპანიოლა (ჩილე) — ინდეპენდიენტე (არგენტინა) ---------- 1:0, 1:3, 0:2
1976 --- კრუზეირო (ბრაზილია) — რივერ პლეიტი (არგენტინა) ---------- 4:1, 1:2, 3:2
1977 --- ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — კრუზეირო (ბრაზილია) ------- 1:0, 0:1, 0:0(პენ. 5:4)
1978 --- დეპორტივო კალი (კოლუმბია) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) ---------- 0:0, 0:4
1979 --- ოლიმპია (პარაგვაი) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) ---------- 2:0, 0:0
1980 --- ინტერნასიონალი (ბრაზილია) — ნასიონალი (ურუგვაი) ---------- 0:0, 0:1
1981 ---- ფლამენგო (ბრაზილია) — კობრელოა (ჩილე) ---------- 2:1, 0:1, 2:0
1982 --- პენაროლი (ურუგვაი) — კობრელოა (ჩილე) ---------- 0:0, 1:0
1983 --- პენაროლი (ურუგვაი) — გრემიო (ბრაზილია) ---------- 1:1, 1:2
1984 --- გრემიო (ბრაზილია) — ინდეპენდიენტე (არგენტინა) ---------- 0:1, 0:0
1985 --- არგენტინოს ხუნიორსი (არგენტინა) — ამერიკა (კოლუმბია) --- 1:0, 0:1, 1:1(პენ. 5:4)
1986 --- ამერიკა (კოლუმბია) — რივერ პლეიტი (არგენტინა) ---------- 1:2, 0:1
1987 --- ამერიკა (კოლუმბია) — პენაროლი (ურუგვაი) ---------- 2:0, 1:2, 0:1
1988 --- ნიუელს ოლდ ბოისი (არგენტინა) — ნასიონალი (ურუგვაი) ---------- 1:0, 0:3
1989 --- ოლიმპია (პარაგვაი) — ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) ------- 2:0, 0:2(პენ. 4:5)
1990 --- ოლიმპია (პარაგვაი) — ბარსელონა (ეკვადორი) ---------- 2:0, 1:1
1991 ---- ოლიმპია (პარაგვაი) — კოლო კოლო (ჩილე) ---------- 0:0, 0:3
1992 --- ნიუელს ოლდ ბოისი (არგენტინა) — სან პაულუ (ბრაზილია) ------ 1:0, 0:1(პენ. 2:3)
1993 --- სან პაულუ (ბრაზილია) — უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე) ---------- 5:1, 0:2
1994 --- ველეს სარსფილდი (არგენტინა) — სან პაულუ (ბრაზილია) ------- 1:0, 0:1(პენ. 5:3)
1995 --- გრემიო (ბრაზილია) — ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) ---------- 3:1, 1:1
1996 ---- ამერიკა (კოლუმბია) — რივერ პლეიტი (არგენტინა) ---------- 1:0, 0:2
1997 --- სპორტინგ კრისტალი (პერუ) — კრუზეირო (ბრაზილია) ---------- 0:0, 0:1
1998 --- ვასკუ და გამა (ბრაზილია) — ბარსელონა (ეკვადორი) ---------- 2:0, 2:1
1999 --- დეპორტივო კალი (კოლუმბია) — პალმეირასი (ბრაზილია) -------- 1:0, 1:2(პენ. 3:4)
2000 -- ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — პალმეირასი (ბრაზილია) -------- 2:2, 0:0(პენ. 4:2)
2001 --- კრუზ ასული (მექსიკა) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) ---------- 0:1, 1:0(პენ. 1:3)
2002 -- ოლიმპია (პარაგვაი) — სან კაეტანო (ბრაზილია) ---------- 0:1, 2:1(პენ. 4:2)
2003 -- ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — სანტოსი (ბრაზილია) ---------- 2:0, 3:1
2004 -- ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — ონსე კალდასი (პარაგვაი) -------- 0:0, 1:1(პენ. 0:2)
2005 -- ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია) — სან პაულუ (ბრაზილია) ---------- 1:1, 0:4
2006 -- სან პაულუ (ბრაზილია) — ინტერნასიონალი (ბრაზილია) ---------- 1:2, 2:2
2007 -- ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — გრემიო (ბრაზილია) ---------- 3:0, 2:0
2008 -- ლიგა დე კიტო (ეკვადორი) — ფლუმინენსე (ბრაზილია) ---------- 4:2, 1:3(პენ. 3:1)

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი. პრემიერლიგა						
		5 ივლისი						
12:00	18	ენერგია-ხიმკი	1.80	3.00	4.20	1.12	1.25	1.75
19:30	19	ნალჩიკი-შინიკი	1.85	3.00	4.20	1.14	1.28	1,75
17:00	20	კრილია-რუბინი	2.80	2.80	2.50	1.39	1.32	1.32
		6 ივლისი						
16:00	21	ცსკა-დინამო მ	1.95	2.90	4.00	1.16	1.31	1.68
14:00	22	ტერეკი-სპარტაკი მ	4.30	3.10	1.80	1.80	1.26	1.13
19:00	23	ლოკომოტივი მ-ამკარი	1.70	3.20	4.60	1.11	1.24	1.88
18:00	24	ზენიტი-ტომი	1.45	3.50	7.50	1.02	1.21	2.38
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		5 ივლისი						
21:00	51	ბრანი-ბოდიო გლიმტი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
		ირლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		4 ივლისი						
23:00	100	შემროკი-კობი	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
22:45	102	კორკი-გალვეი	1.30	4.50	9.00	1.00	1.13	3.00
22:45	103	დროგედა-დუბლინი	1.55	3.50	5.80	1.07	1.22	2.18
		5 ივლისი						
23:00	104	სლიგო-დერი	2.60	3.00	2.60	1.39	1.29	1.39
		6 ივლისი						
22:00	99	სტ.პატრიკსი-ფინ ჰარპსი	1.45	3.60	7.00	1.03	1.20	2.37
		იაპონია. J ლიგა						
		5 ივლისი						
14:00	105	ივატა-კაშიმა	2.85	3.20	2.20	1.50	1.24	1.30
14:00	106	კობე-ომია	2.35	3.20	2.50	1.35	1.21	1.40
09:00	107	საპორო-შიმიცუ	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
13:00	108	ვერდი-იჩიჰარა	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
14:00	109	ურავა-ტოკიო	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
14:00	110	ნიიგატა-ნაგოია	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
		6 ივლისი						
14:00	111	კაშივა-გამბა	2.55	3.20	2.40	1.41	1.23	1.37
14:00	112	კავასაკი-იოკოჰამა ფმ	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
14:00	113	კიოტო-ოიტა	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
		ბრაზილია. ჩემპიონატი						
		6 ივლისი						
01:20	120	ატლეტიკო პრ-სანტოსი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
01:20	121	ფლამენგო-ნაუტიკო	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
23:00	123	პორტუგესა-ვიტორია	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
23:00	124	ინტერნასიონალი-კურიტიბა	1.75	3.40	4.30	1.15	1.24	1.89
23:00	125	ფიგეირენსე-ვასკუ და გამა	1.95	3.40	3.50	1.23	1.25	1.72
23:00	126	ატლეტიკო მნ-პალმეირასი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
		7 ივლისი						
01:10	127	გოიასი-ფლუმინენსე	2.05	3.20	3.25	1.24	1.25	1.61
01:10	128	ბოტაფოგო-გრემიო	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
01:10	129	სან პაულუ-იპატინგა	1.30	4.50	8.50	1.00	1.12	2.94
		აშშ. MLS						
		5 ივლისი						
06:30	115	ლოს ანჯელესი-ნიუ ინგლენდი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
03:00	116	დალასი-კანზასი	1.95	3.20	3.45	1.21	1.24	1.66
05:30	117	კოლორადო-ნიუ იორკი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		6 ივლისი						
04:00	118	კოლამბუსი-ჩიკაგო	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
06:30	119	ჩივასი-სან ხოსე	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
		ინტერტოტოს თასი						
		5 ივლისი						
18:00	26	სატურნი მ-ეტცელა	1.05	7.50	13.00	1.00	1.00	4.75
20:00	28	გრბალი რადნოვიჩი-სივასპორი	2.90	3.20	2.05	1.52	1.20	1.24
20:00	29	გრასჰოპერსი-ბესა	1.17	5.50	10.00	1.00	1.04	3.54
20:00	30	შტურმი-შახტიორი ს	1.45	3.60	5.50	1.03	1.14	2.17
20:00	31	ტეპლიცე-ჰონვედი	1.45	3.60	6.00	1.03	1.16	2.25
21:00	32	ჩერნომორეცი ბურგასი-ნოვა გორიცა	1.85	3.20	3.50	1.17	1.21	1.67
22:00	33	ბეერსხოტი-ნეფჩი	1.27	4.40	7.70	1.00	1.09	2.79
21:00	40	ტირასპოლი-ტავრია	3.30	3.10	1.90	1.59	1.20	1.17
		6 ივლისი						
18:00	35	ეკრანასი-რუსენბორგი	4.50	3.30	1.55	1.90	1.15	1.05
18:00	36	რიგა-ბოჰემიანსი დუბლინი	2.75	3.20	2.20	1.47	1.22	1.30
19:30	37	ბელგრადი-პანიონიოსი	2.15	3.20	2.85	1.28	1.22	1.50
19:30	38	ტურკუ-ოდენსე	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
20:00	39	რენოვა-ბნეი	2.15	3.10	2.90	1.26	1.23	1.49
		ფრენბურთი. კაცები მსოფლიო ლიგა						
		4 ივლისი						
19:00	148	რუსეთი-კუბა	1.15	4.50				
19:00	149	ესპანეთი-აშშ	2.10	1.60				
19:30	150	ფინეთი-ბულგარეთი	2.80	1.30				
22:00	151	იტალია-სამ კორეა	1.01	9.00				
22:00	152	პოლონეთი-ჩინეთი	1.12	4.50				
22:30	153	სერბეთი-ბრაზილია	1.90	1.70				
22:30	154	საფრანგეთი-ვენესუელა	1.04	6.50				
		5 ივლისი						
10:00	155	იაპონია-ეგვიპტე	1.20	3.30				
		ფრენბურთი. ქალები მსოფლიო Grand Prix						
		4 ივლისი						
11:00	156	ტაილანდი-ყაზახეთი	1.20	3.20				
11:00	157	აშშ-პოლონეთი	1.10	5.50				
14:00	158	კუბა-გერმანია	1.10	5.20				
14:00	159	ბრაზილია-დომენ რესპუბ	1.02	7.50				
14:20	160	იტალია-თურქეთი	1.12	5.00				
17:00	161	ჩინეთი-იაპონია	1.10	5.50				

შესაძლო ცვლილებები დაიაზუსტეთ აღგილზე

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10018	ენერგია-ხიმკი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10019	ნალჩიკი-შინიკი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10020	კრილია-რუბინი	3.20	2.00	2.75	1.23	1.47	1.15
10051	ბრანი-ბოდიო გლიმტი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10021	ცსკა-დინამო მ	2.35	2.00	3.80	1.08	1.45	1.31
10022	ტერეკი-სპარტაკი მ	4.70	2.10	2.10	1.45	1.45	1.04
10023	ლოკომოტივი მ-ამკარი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10024	ზენიტი-ტომი	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11018	ენერგია-ხიმკი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11019	ნალჩიკი-შინიკი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11020	კრილია-რუბინი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11051	ბრანი-ბოდიო გლიმტი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11021	ცსკა-დინამო მ	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11022	ტერეკი-სპარტაკი მ	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50
11023	ლოკომოტივი მ-ამკარი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11024	ზენიტი-ტომი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12018	ენერგია-ხიმკი	2,5	1.70	1.90
12019	ნალჩიკი-შინიკი	2,5	1.60	2.00
12020	კრილია-რუბინი	2,5	1.70	1.90
12051	ბრანი-ბოდიო გლიმტი	2,5	2.10	1.60
12021	ცსკა-დინამო მ	2,5	1.70	1.90
12022	ტერეკი-სპარტაკი მ	2,5	1.70	1.90
12023	ლოკომოტივი მ-ამკარი	2,5	1.60	2.00
12024	ზენიტი-ტომი	2,5	1.80	1.80

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი.	არა.
13018	ენერგია-ხიმკი	1.70	1.90
13019	ნალჩიკი-შინიკი	1.70	1.90
13020	კრილია-რუბინი	1.70	1.90
13051	ბრანი-ბოდიო გლიმტი	1.60	1.85
13021	ცსკა-დინამო მ	1.70	1.90
13022	ტერეკი-სპარტაკი მ	1.90	1.70
13023	ლოკომოტივი მ-ამკარი	1.70	1.90
13024	ზენიტი-ტომი	1.90	1.70

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსონი წაგებულად ჩაითვლება)

14018	ენერგია-ხიმკი	1.65	2.30
14019	ნალჩიკი-შინიკი	1.65	2.30
14020	კრილია-რუბინი	1.95	1.85
14051	ბრანი-ბოდიო გლიმტი	1.45	2.40
14021	ცსკა-დინამო მ	1.70	2.20
14022	ტერეკი-სპარტაკი მ	2.30	1.65
14023	ლოკომოტივი მ-ამკარი	1.45	2.40
14024	ზენიტი-ტომი	1.20	2.60

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15018	ენერგია-ხიმკი	3.00	2.80	2.00
15019	ნალჩიკი-შინიკი	3.00	2.80	2.00
15020	კრილია-რუბინი	3.00	2.80	2.00
15051	ბრანი-ბოდიო გლიმტი	3.00	2.80	2.00
15021	ცსკა-დინამო მ	3.00	2.80	2.00
15022	ტერეკი-სპარტაკი მ	3.00	2.80	2.00
15023	ლოკომოტივი მ-ამკარი	3.00	2.80	2.00
15024	ზენიტი-ტომი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16018	ენერგია-ხიმკი	1.30	3.00
16019	ნალჩიკი-შინიკი	1.32	3.00
16020	კრილია-რუბინი	1.95	1.65
16051	ბრანი-ბოდიო გლიმტი	1.23	3.60
16021	ცსკა-დინამო მ	1.38	2.65
16022	ტერეკი-სპარტაკი მ	2.90	1.32
16023	ლოკომოტივი მ-ამკარი	1.24	3.60
16024	ზენიტი-ტომი	1.12	4.60

გოლი:ფსვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ფსვილად)

17018	ენერგია-ხიმკი	1.85	1.95
17019	ნალჩიკი-შინიკი	1.85	1.95
17020	კრილია-რუბინი	1.85	1.95
17051	ბრანი-ბოდიო გლიმტი	1.85	1.95
17021	ცსკა-დინამო მ	1.85	1.95
17022	ტერეკი-სპარტაკი მ	1.85	1.95
17023	ლოკომოტივი მ-ამკარი	1.85	1.95
17024	ზენიტი-ტომი	1.85	1.95

ფორმულა 1. დიდი ბრიტანეთი. რბოლა. 4 ივლისი

13:00	1001	გამარჯვებული	კუბიცა	15.00
13:00	1001	გამარჯვებული	რაიკონენი	2.30
13:00	1001	გამარჯვებული	ჰაიდფელდი	30.00
13:00	1001	გამარჯვებული	ფეტელი	160.00
13:00	1001	გამარჯვებული	ბურდე	170.00
13:00	1001	გამარჯვებული	სუტილი	190.00
13:00	1001	გამარჯვებული	ფიზიკელა	200.00
13:00	1001	გამარჯვებული	მასა	3.50
13:00	1001	გამარჯვებული	ნაკაჯიმა	130.00
13:00	1001	გამარჯვებული	გლოკი	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	ჰემილტონი	2.80
13:00	1001	გამარჯვებული	კულტხარდი	90.00
13:00	1001	გამარჯვებული	ბატონი	150.00
13:00	1001	გამარჯვებული	პიკე	100.00
13:00	1001	გამარჯვებული	ბარიკელო	150.00
13:00	1001	გამარჯვებული	უებერი	80.00
13:00	1001	გამარჯვებული	ტრული	50.00
13:00	1001	გამარჯვებული	ალონსო	35.00
13:00	1001	გამარჯვებული	როსბერგი	110.00
13:00	1001	გამარჯვებული	კოვალაინენი	20.00

ბურაბ დოლიძეგაბვილის ფოტო

რაცა ვართ, ესა ვართ

უსტიაშვილმა პლუს-მინუსებით მინუსი მიიღო

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს აგვისტოს დასაწყისში სერიოზული გამოცდა ელის. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე დავით უსტიაშვილის გუნდს დიდი ჭაპანწყვეტა მოუწევს, ელიტაში ადგილი რომ შეინარჩუნოს და B დივიზიონში არ დაქვეითდეს. საქმე ის გახლავთ, რომ შარშანდელ შემადგენლობას ასაკის ლიმიტის გამო რამდენიმე მარჯვე მოთამაშე გამოაკლდა, შევსება კი ვერა ჩანს ისეთი მძლავრი, რომ ევროპის უძლიერესთა შორის უეჭველი დარჩენა დაგეგმო.

ასეა თუ ისე, ჩვენი 20-წლამდელები ფინალური ეტაპისთვის ემზადებიან, რომელსაც 1-10 აგვისტოს ლატვიის დედაქალაქი რიგა უმასპინძლებს. ჯგუფურ ეტაპზე ჩვენების მეტოქეები თურქეთის, იტალიისა და ისრაელის ნაკრებები იქნებიან, თუმც მანამდე უსტიაშვილის გუნდს იტალიელებთან გასპარინგების შანსიც ეძლევა. 15 ივლისს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იტალიაში ამხანაგური ტურნირის სათამაშოდ მიემგზავრება, სადაც მასპინძელთა გარდა ჩვენი მეტოქეები საბერძნეთისა და სლოვენიის 20-წლამდელები იქნებიან.

დავით უსტიაშვილმა ნაკრების ვარჯიში არასრული შემადგენლობით 23 ივნისიდან დაიწყო. გუშინ კი დიღმის ბაზაზე ჟურნალისტებისთვის ღია წვრთნა მოაწყო და მისი დასრულების შემდეგ გაგვესაუბრა...

— მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მოთამაშეს ტრავმა აწუხებს, სრული დატვირთვით ვვარჯიშობთ. რიჩარდ მათიაშვილს ქუსლი სტკივა და რამდენიმე დღე დაისვენებს, ხოლო გიორგი შერმადინს მსუბუქად ვტვირთავთ. მას ამერიკასა და ტრევიზოში გადატვირთული გრაფიკი ჰქონდა, დრაფტისთვის რომ ემზადებოდა და უმჯობესია, ცოტას თუ დაისვენებს. კიდევ ერთ ტანმაღალ მოთამაშეს, ლევან შენგელიას ჯერაც აწუხებს 3 თვის წინ მოტეხილი ფეხის თითი. მას 2 თვე თაბაშირი ედო და მართალია, თითი სრულად მოუშუშდა, მაგრამ სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს. ამდენი ხნის უმოძრაობით ფეხის კუნთები ატროფირებული აქვს და გარკვეული პერიოდი დასჭირდება, ფორმა რომ აღიდგინოს.

— გამოდის, სერიოზული პრობლემები გქონიათ...

— მთავარი პრობლემა ის არის, რომ გუნდის შემადგენლობა არაა ისეთი ძლიერი, ევროპის ჩემპიონატზე იმედიანად რომ წავიდეთ. შარშანდელ გუნდს ასაკის ლიმიტის გამო რამდენიმე ძლიერი მოთამაშე გამოაკლდა: მიხეილ ბერიშვილი, რევაზ დიდია, ლაშა ფარღალავა, მიხეილ ჭოჭუა, ლექსო ლაფანაშვილი.

— შევსებაც ხომ მიიღეთ...

— გიორგი შერმადინის სახით საკმაოდ ძლიერი შევსება მივიღეთ, მაგრამ მთლიანობაში მაინც არ გვყავს თუნდაც შარშანდელი დონის გუნდი. ასეა თუ ისე, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა A დივიზიონში ადგილი შევინარჩუნოთ. საამისოდ აუცილებელია, ჯგუფში თუნდაც ერთი თამაში მოვიგოთ, ანდაც მერე ვიყოჩაღოთ და 16-გუნდა ტურნირის ბოლო 2 ადგილი ავირიდოთ.

— ჯგუფში სამივე სერიოზული მეტოქეა და ვისთან გამარჯვებაა ყველაზე რეალური?

— წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება, ბურთი მრგვალია და ყველაფერი ხდება, თუმც ზოგადად, ალბათ მაინც ისრაელია, რომელთანაც თანაბრად თამაში შეიძლება. ჩვენ შარშანაც შევხვდით ამ გუნდს და დაძაბულ ბრძოლაში წავაგეთ. რაც შეეხება თურქეთს და იტალიას, მათ გაცილებით მძლავრი გუნდები ჰყავთ. იტალიასთან ძალებს ჩემპიონატამდეც გამოვცდით. საერთოდ, ეს ამხანაგური ტურნირი ძალიან წაგვადგება. იტალიაში გამოჩნდება, რა გუნდი გვყავს და მერე უფრო რეალურად შევაფასებთ ჩვენს შანსებს.

— სულ 13 მოთამაშე გყავთ გამოძახებული, რაც დაბალ კონკურენციაზე მიუთითებს...

— ვინცა ვართ, ესენი ვართ. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს გუნდი უწინდელთან შედარებით ცოტა სუსტია. ეს 13 კაციც არ შეკრებილა ბოლომდე. ლევან ფაცაცია ჯერაც ამერიკაშია და 7 ივლისს შემოგვიერთდება. საბოლოოდ ერთი მოთამაშე ამოვარდება და 15 ივლისს იტალიურ ოთხთა ტურნირზე 12 კაცით წავალთ.

ირაკლი პერტია



ბურაბ დოლიძეგაბვილის ფოტო

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

გიორგი შერმადინი	213
რიჩარდ მათიაშვილი	207
ლევან ფაცაცია	198
ბექა წივწივაძე	188
ლევან ცეკვავა	189
ლევან შენგელია	205
გიორგი პირველაშვილი	196
ლუკა ნოზაძე	206
ერეკლე ჯგერენაია	204
ირაკლი ივანეიშვილი	198
გიორგი გულისაბედაშვილი	188
გიორგი გაფრინდაშვილი	186
ზვიად ანთაძე	196

საგაისო შერმადინი

დიდი იმედი კი გვქონდა, რომ გიორგი შერმადინს წლევანდელ დრაფტზე აირჩევდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. შერმადინის მენეჯერმა იმის მყარი გარანტია ვერ მიიღო, რომ მის კლიენტს რომელიმე კლუბი აირჩევდა და ქართველი გოლიათის სადრაფტო განაცხადიც უკან გამოიტანა. ამით შერმადინს შეუნარჩუნდა იმის უფლება, რომ უახლოეს 3 წელიწადში, ანუ სანამ 22 წლის გახდებოდეს, დრაფტზე კიდევ ერთხელ სცადოს ბედი. სავარაუდოდ, გიორგი და მისი გარემოცვა ლოდინს არ დაიწყებენ და მომავალ, 2009 წლის დრაფტზე დადგებიან. მით უმეტეს ახლა, როცა კომპეტენტურმა ვებგვერდმა Draftexpress.com-მა საუკეთესო არაამერიკელ მოთამაშეთა სია გამოაქვეყნა. ამ საიტის ვერსიით, გიორგი შერმადინი საუკეთესოა 1989-წლიანებს შორის. საერთოდ, Draftexpress.com-მა ოთხ ასაკში დაახარისხა მოთამაშეები, ჩვენ კი, რა თქმა უნდა, 89-იანების სიას გთავაზობთ.

1. გიორგი შერმადინი (მაკაბი, საქართველო)
2. ენტონი დიო (ლე მანი, საფრანგეთი)
3. მილან მაჩვანი (ჰემოფარმი, სერბეთი)
4. დუშან კატნიჩი (მეგა მონტა, სერბეთი)
5. სიმიონ შაშკოვი (ცსკა, მოსკოვი)
6. მამადუ სამბი (კორნელა, ესპანეთი)
7. ჟიგიმანტას იანავიჩუსი (ალიტა, ლიტვა)
8. დიმიტრი ხვოსტოვი (დინამო, რუსეთი)
9. ვაიდას სეპუკაიტისი (ჟალგირისი, ლიტვა)
10. ედვინ ჯეკსონი (ვილერბანი, საფრანგეთი)
11. ჩენ იანგუა (გუანდონგი, ჩინეთი)
12. ლიუკ ლუვი (ორლეანი, საფრანგეთი)
13. ბოიან ბოგდანოვიჩი (რეალი, ესპანეთი)
14. პაბლო აგილარი (რეალი, ესპანეთი)
15. ნიკოლა ლალიჩი (ბუდუჩნოსტი, ჩერნოგორია)

სიეტლმა გუნდი დაკარგა

ნბა-ს გუნდი „სიეტლ სუპერსონიქსი" მომავალი სეზონიდან ოკლაჰომა-სიტიში გადავა და ამ ქალაქში მიიღებს მეტოქეებს, ოღონდ სახელის გამოცვლა მოუწევს. იგივე გუნდი, იგივე მოთამაშეები, იგივე ორგანიზაცია იქნება, ოღონდ, აღარ ერქმევა არც „სიეტლი" და აღარც „სუპერსონიქსი".

„ზებგერითების" მილიონერმა მფლობელმა კლეი ბენეტმა მაინც გაიტანა თავისი და ქალაქ სიეტლს წაართვა ნბა-ს გუნდი, რომელიც იქ 41 წელი ბინადრობდა და ამ ქალაქში პირველი დიდი პროფესიული კლუბი იყო. ხომ გახსოვთ „კავკასიური ცარცის წრის" მთავარი სცენა, სადაც ორი დედა ერთ შვილს აქეთ-იქით ექაჩება, კეთილი მოსამართლე კი ბავშვს გახლეჩას გადაარჩენს და ერთ-ერთს დაუთმობს. ოღონდ„ სუპერსონიქსი" გახლეჩას ვერ გადაურჩა, რადგან ორივე მოდავე მხარე — ერთის მხრივ მფლობელი კლეი ბენეტი, მეორეს მხრივ კი ქალაქ სიეტლის მერია დაუნდობლად ეწეოდნენ თავის მხარეს. ბენეტმა 2006 წელს იყიდა კლუბი და სულ ცდილობდა მშობლიურ ოკლაჰომაში წაეყვანა. სიეტლის მერია კი არ უშვებდა იმ საბაბით, რომ დარბაზი „კი არენა" მისი საკუთრება იყო და მის განახლებაზე ასეულობით მილიონი დახარჯა. წინასწარი შეთანხმებით, ბენეტს ქალაქისთვის იმ ფულის ამოღება კიდევ ორი წელი უნდა ეცლია და გუნდი 2010 წელს წაეყვანა ოკლაჰომაში, მაგრამ ბენეტმა მაინც არ ისურვა მოცდა და საქმე სასამართლოში გასარჩევი გახდა. ექვსდღიანი პროცესი გუშინწინ დასრულდა, რის შემდეგაც შემდეგი გაირკვა:

ბენეტი ქალაქ სიეტლს კომპენსაციის სახით გადაუხდის 75 მილიონს (45 მილიონს დაუყოვნებლივ, დანარჩენ 30-ს კი არაუგვიანეს 2013 წლამდე) და წაიყვანს გუნდს, ოღონდ არ ეჭნება „სუპერსონიქსის" სახელის, ლოგოს და ფერების გამოყენების უფლება.

როგორც ჩანს, სიეტლელები ჯერ კიდევ არ კარგავენ იმედს, რომ ამ გუნდს დაიბრუნებენ, ან სხვა რომელიმე მომცრო ქალაქს წაართმევენ კლუბს და სახელი „სუპერსონიქსიც" ამის გამო „შემოინახეს".

„სამყარო რომ იდეალური ყოფილიყო, კლუბი ძველ ქალაქში უნდა დარჩენილიყო, მის ხარბ პატრონს კი წინადადებას მივცემდით, წათრეულიყო, სადაც მოისურვებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც კარგ ადამიანებს სურთ" — დაბოღმილი საუბრობდა მავანი სიეტლელი სტივენ პიტი, რომელმაც თანამოაზრეებთან ერთად დაარსა მოძრაობა „გადავარჩინოთ ჩვენი სონიქსი" და ბოლომდე იბრძოდა სასამართლოში, მაგრამ მისი საქმე დამარცხდა.

ამგვარად 2008-09 წლების რეგულარულ სეზონში ნბა-ს ახალი კლუბი ეყოლება, სახეცვლილი და სახელშეცვლილი „სუპერსონიქსი". რას დაარქმევენ ოკლაჰომელები თავიანთ პირველ პროფესიულ სუპერკლუბს, ჯერჯერობთ უცნობია.

ირაკლი ფირაზვილი

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№1 საავტომობილო ზეთი

ტოიოტას პოდიუმი მოეწონა

ტიმო გლოკი და იარნო ტრული

ორი კვირის წინ, საფრანგეთის დიდ პრიზზე, „ტოიოტას“ იტალიელმა პილოტმა იარნო ტრულიმ პოდიუმზე შედგა ფეხი, მესამე ადგილი დაიკავა და იაპონური საჯინიბო ინგლისში მშვენიერ განწყობაზე მყოფი ჩავიდა.

რა თქმა უნდა, ზედიზედ მეორე პოდიუმს, თანაც სილვერსტუონის ზესწრაფ ტრასაზე „ტოიოტა“ ვერ დაგეგმავს, მაგრამ გუნდში იმედოვნებენ, რომ მინიმუმ ქულათა ზონაში მოხვედრას ამ ჯერზეც შეძლებენ.

იარნო ტრული: „სილვერსტოუნი ერთ-ერთი უძველესი და უსწრაფესი ტრასაა, რომელიც ყველა პილოტს უყვარს. საფრანგეთში მიღწეული ბრწყინვალე შედეგის შემდეგ ვფიქრობ, ამ ავტოდრომზეც შევძლებთ ჩვენი კონკურენტუნარიანობის დამტკიცებას. პელოტონის შუაში არნახულად მძაფრი ბრძოლაა გაჩაღებული და ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ ამ ბრძოლაში. „მანი კურზე“ „ტოიოტამ“ დაამტკიცაპ თავისი ძალა და ერთი სული მაქვს სილვერსტოუნის სარბოლო უიქენდის დაწყებამდე“.

ბრიტანულ რბოლას მოუთმენლად ელის „ტოიოტას“ მეორე პილოტი ტიმო გლოკიც. „სილვერსტოუნთან კარგი მოგონებები მაკავშირებს ჯერ კიდევ GP2 სერიიდან. თანაც აქ არ იცი, როგორი მეტეოპირობები იქნება და ეს რბოლას გამოუცნობს ხდის. ფრანგული დიდი პრიზი ტრულის პოდიუმით, ჩვენი გუნდისთვის სუპერუიქენდი იყო. სამწუხაროდ, იარნოს მაშინ მხარი ვერ ავუბი და დანაკარგის ანაზღაურებას ახლა შევეცდები“ — განაცხადა გერმანელმა მრბოლმა.

კახა ლომაძე

ავსტრალიელი ავსტრიულ მანქანით კმაყოფილია


მარკ ვებერი

წლევანდელი საპირველფორმულო ჩემპიონატის თითქმის ნახევარი მიილია და „ფერარის“, „BMW-ზაუბერისა“ და „მაკლარენ-მერსედესის“ დიდი სამეულის შემდეგ, გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილზე „რენოს“ ძრავებით აღჭურვილი ავსტრიული „რედ ბულია“.

„წითელმა ხარებმა“ წლევანდელ რვა რბოლაში 24 ქულა მოაგროვეს, ანუ ზუსტად იმდენი, რამდენიც მთელი შარშანდელი, 17-ეტაპიანი სეზონის ბოლოს ჰქონდათ. ავტსრიული საჯინიბოს ავსტრალიელი პილოტი მარკ ვებერი კი 18 ქულით იწონებს თავს და ეს რვით მეტია მის მთელ შარშანდელ მონაგარზე.

„სეზონი იმაზე გაცილებით უკეთ მიდის, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით. კონკურენცია ძალიან დიდია და ასეთი შედეგი ნამდვილად არ შედიოდა ჩვენს გეგმებში. კონკურენტები არსად გამქრალან, მაგრამ ჩვენ მაგრად მოვუმატეთ და ყველაფერს ვიღონებთ, რაბა კონსტრუქტორთა ჩათვლაში მეოთხე პოზიცია შევინარჩუნოთ — განაცხადა ვებერმა სილვერსტუნზე გასამართი ბრიტანული ეტაპის წინ — მანქანა ძალზე საიმედოა და ეს ძალიან გვშველის. ვფიქრობ, უმეტეს შემთხვევაში კონკურენტუნარიანები ვიყავით როგორც კვალიფიკაციისას, ისე რბოლის დროს. შარშანდელთან შედარებაც აღარ არის. სხვა თუ არაფერი, რვიდან შვიდი რბოლა ქულებით დავამთავრეთ და ასეთი მაჩვენებლით ბევრი გუნდი ვერ დაიკვეხნის“.

რვა ეტაპის შემდეგ ვებერი მეშვიდე-მერვე ადგილებს იყოფს „ტოიოტას“ იარნო ტრულისთან ერთად და ოდენ ორი ქულით ჩამორჩება მეექვსე ადგილზე მყოფ მაკლარენელ ჰეიკი კოვალაინენს.

„პირადად მე ვფიქრობ, რომ მანქანისგან მაქსიმუმს ვიღებ და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. კიდევ ერთხელ ვიტყვი, ჩვენი ბოლიდები საიმედოა, თუმც ასეთი ხარისხის ბოლომდე შენარჩუნება ძალიან ძნელი იქნება. მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებ, რომ კვლავაც მინიმალურ შეცდომებს დავუშვებ და მოპოვებულ პოზიციებს წლის ბოლომდე შევინარჩუნებთ“ — ბრძანა ავსტრალიელმა პილოტმა.

კახა ლომაძე

უილიამსი სახლშია და დიდ გულზე

იყო დრო, სილვერსტოუნი „უილიამსის“ საშინაო ტრასად ითვლებოდა. არა, ფრენკ უილიამსის გუნდისთვის ეს ავტოდრომი ახლაც შინაურია, მაგრამ სხვა რამეს ვგულისხმობთ — გასული საუკუნის 90-იან წლებში „უილიამსის“ ბოლიდები სილვერსტოუნზე დომინირებდნენ და 1991-97 წლებში ნაიჯელ მენსელმა, ალენ პროსტმა, დეიმონ ჰილმა და ჟაკ ვილნევმა იქ შვიდიდან ექვსი რბოლა მოიგეს.

თუმც ისიც სათქმელია, რომ იმ წლებში „უილიამსი“ ზოგადადაც უძლიერესი გუნდი იყო და ზემოთ ჩამოთვლილმა პილოტებმა თითო საჩემპიონო ტიტულით გამდიდრეს სერ ფრენკის გუნდის დიდების დარბაზი.

ახლა სხვა დროა. ახლა „უილიამსი“ პელოტონის შუაში იბრძვის და უფრო ხშირად დამარცხებული რჩება ამ ბრძოლაში. თუნდაც ბოლო, საფრანგეთის დიდი პრიზი ავიღოთ, სადაც „უილიამსები“ პელოტონის ბოლოსკენ, მე-15 და მე-16 ადგილებზე აღმოჩნდნენ.

„სილვერსტოუნზე „უილიამსმა“ პირველად 1979 წელს იმარჯვა და ჩვენი გუნდისთვის ყოველთვის სასიამოვნოა აქ, მშობლიურ გარემოში გამოსვლა — განაცხადა გუნდის გერმანელმა მრბოლმა ნიკო როსბერგმა და დაამატა — სადღეისოდ სიტუაცია ისეთია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რათა კონკურენტუნარიანები გავხდეთ. საფრანგეთში მარცხის შემდეგ სილვერსტოუნზე სამდღიანი ტესტები სრულად გამოვიყენეთ, ბლომად კილომეტრები გავიარეთ და ვფიქრობ, ამ ჯერზე ყველაფერი სულ სხვანაირად, წარმატებით წარიმართება ჩვენი გუნდისთვის“.

თანაგუნდელს მხარი იაპონელმა კაძუკი ნაკაჯიმამაც აუბა, რომელმაც ბრძანა, ტესტებისას მართლაც დიდი სამუშაო ჩავატარეთ და იმედი მაქვს, ჩვენი ქომაგების თვალწინ წარმატებით ვირბოლებთო.

კახა ლომაძე

დეტროიტი ბაზარზეც პირველია მარიან ჰოსამ ფრთები შეიცვალა

მარიან ჰოსა

ძველი ნათქვამია — თავიდან სახელის შექმნაზე მუშაობ, შემდეგ კი სახელი მუშაობს შენზეო. „დეტროიტის“ საქმეც სწორედ ასეა — უკანასკნელ წლებში გუნდმა ისეთი რეპუტაცია შეიქმნა, რომ მიჩიგანელთა წითელი მაისურას მოსარგებად ჰოკეისტთა დიდი ნაწილი მზად არის ბევრ რამეზე დახუჭოს თავლები, მათ შორის უფრო დაბალ ხელფასზეც. ეს კი იმიტომ, რომ გუნდი თავის მოთამაშეებს ფულზე მეტს სთავაზობს — სტაბილურად მაღალი მიზნებისთვისა და თითქმის ყოველწლიურად სტენლის თასისთვის ბრძოლას. სხვა თუ არაფერი, „წითელფრთიანები“ აგერ უკვე ზედიზედ 18 სეზონია პლეი-ოფში გადიან (რეკორდი ჩრდილო ამერიკული სპორტული ლიგების ისტორიაში), ბოლო 11 სეზონში კი 4-ჯერ დაისაკუთრეს ყველაზე პრესტიჟული ჯილდო. ამის ფონზე გასაკვირი არაა, რომ ბევრ ჰოკეისტს გული „დეტროიტისკენ“ მიუწევს.

გუშინაც ასე მოხდა, როცა მიჩიგანელებმა მთელი ნჰლ-ი შეარყიეს და დანარჩენი 29 გუნდის გენერალურ მენეჯერებს თავში ცემის მიზეზი მისცეს, როცა მარიან ჰოსა დაისაკუთრეს. სლოვაკმა „წითელფრითაინებთან“ მხოლოდ ერთ წლიანი, 7,2 მილიონზე გათვლილი კონტრაქტი გააფორმა. ბევრი იტყვის ამაში ასეთი გასაოცარი რა იყოო. რა და ის, რომ სლოვაკმა „დეტროიტში“ თამაშისთვის რამდენიმე ფანტასტიურ კონტრაქტზე თქვა უარი — იგივე „პიტსბურგი“, რომელთან ერთად ჰოსამ აწ მიწურული სეზონის მეორე ნახევარი ჩაათამაშა და შემდეგ სტენლის თასის ფინალსაც უწია (სადაც „დეტროიტთან“ დამარცხდა), მარიანს 5 წლიანი, სეზონში 7 მილიონზე გათვლილი კონტრაქტი შეაძლია. „ედმონტონი“ კი სულაც გადაირია და 29 წლის ფორვარდს 9 წლიანი და 81 მილიონიანი (ანუ სეზონში 9 მილიონი) შესთავაზა. მაგრამ ჰოსამ ყველაფერზე უარი თქვა, რადგანაც:

„ჩემი მიზანი ისეთ გუნდში გადასვლა იყო, რომელშიც სტენლის თასისთვის ბრძოლის შანსი მექნება. მგონია, რომ „დეტროიტში“ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა“.

სლოვაკის დამატებით „დეტროიტი“ ტიტულის შენარჩუნების დიდებულ შანსს ფლობს. ჯერ ერთი, გუნდს ყველაზე სოლიდური დაცვა ჰყავს კაპიტან ნიკლას ლიდსტრომის, ბრაიან რაფალსკის, ნიკლას კრონვალისა და ორიოდ დღის წინ გუნდთან 4 წლიანი კონტრაქტის გამფორმებელ ბრედ სტიუარტის შემადგენლობით. აგერ ახლა კი შეტევამაც ფანტასტიური სახე მიიღო, რადგანაც ჰოსა პაველ დაციუკისა და ჰენრიკ ზეტერბერგის მხარდამხარ ითამაშებს — შემადგენლობა მართლაც უნიკალურია.

სხვა სიაახლეებიდან „რეინჯერსული“ ამბები გამოვყოთ, რომელმაც წლეულს აქცენტი დაცვაზე გააკეთა. გუნდმა ჯერ მიხალ როზჟივალს წასვლის ნება არ მისცა და დაიტოვა, შემდეგ კი „ოტავადან“ უეიდ რედენი დაიმატა. თუმც ამ უკანასკნელთან გაფორმებული 6 წლიანი და 39 მილიონიანი კონტრაქტი ძალიან გაბერილად მოჩანს. ამის შემდეგ მანჰეტენელებმა თავიდან მოიშორეს ორი სხვა უკანახაზელი — რუსი ფიოდორ ტიუტინი და შვედი კრისტიან ბეკმენი, რომლებიც „კოლუმბუსს“ გაუცვალეს ნიჭიერ, მაგრამ კაპრიზებით სავსე რუს თავდასხმელ ნიკოლაი ჟერდევსა და ცენტრ დენ ფრიტჩიში.

„კოლუმბუსი“ მხოლოდ ამ გაცვლით არ შემოფარგლულა — გუნდმა კიდევ ერთი მცველი მაიკ კომოდორი (5 წელი, 18,5 მილიონი) და თავდამსხმელი კრისტიან ჰუსელიუსი (4 წელი, 19 მილიონი) დაიმატა.

ოფიციალურად გააფორმეს კონტრაქტი „პიტსბურგმა“ და ევგენი მალკინმა — რუსი მომდევნო ხუთ წელიწადში 43,5 მილიონს ჩაიჯიბავს. ჰოსას „ღალატის“ შემდეგ „პინგვინების“ გულშემატკივრებმა ალბათ შვებით ამოისუნთქეს, როცა გუნდში დარჩენა ისურვა მცველმა ბრუკს ორპიკმა (6 წელი, 22,5 მილიონი).

ხმაურიანი დამატებების გარეშეა „ოტავაც“, რომელმაც რედენი გაუშვა და ჯერ მისი შემცვლელიც ვერ მონახა. სამაგიეროდ, გუნდმა დაიტოვა თავდასხმელი შეინ დონოვანი და თავისუფალ აგენტთა ბაზრიდან აიყვანა ფინელი თავდასხმელი იარკო რუუტუ (3 წელი, 3,9 მილიონი).

ჯერჯერობით ჩუმად არიან კალიფორნიული გრანდები „სან ხოსე“ და „ანაჰაიმი“. პირველმა მხოლოდ მწვრთნელი გამოცვალა და რონ უილსონის მაგივრად შარშან „დეტროიტში“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მომუშავე პოლ მაკლენანი დანიშნა. „იხვების“ მთავარი საზრუნავი კი ახალგაზრდა კორი პერის დატოვება იყო, რის გამოც ფულის გამოთავისუფლება გახდა საჭირო — ამ მიზნით გუნდმა გამოისყიდა ტოდ ბერტუცის 4 მილიონიანი კონტრაქტი, რის შემდეგაც პერის ხუთწლიანი და 25 მილიონიანი ხელშეკრულება გაუფორმა.

კახა ლომაშვილი

ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘᲡ ᲡᲣᲞᲔᲠᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ. 28 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ-6 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

IV ᲢᲣᲠᲘ

იან გუსტაფსონი (გერმანია)	0,5:0,5	ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)
იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი)	1:0	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)
არკადი ნაიდიჩი (გერმანია)	0,5:0,5	შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)
ვლადიმირ კრამნიკი (გერმანია)	0,5:0,5	პეტერ ლეკო (უნგრეთი)

ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘ

პეტერ ლეკო და ვლადიმირ კრამნიკი

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲛᲐ ეკვატორი გადაკვეთა და ცხრილს კვლავაც სამი მოჭადრაკე ლიდერობს. იან გუსტაფსონს, პეტერ ლეკოს და იან ნეპომნიაშჩის 2,5-2,5 ქულა აქვთ და მდევრებს ნახევარი ქულით უსწრებენ.

მდევართა შორისაა ტურნირის ფავორიტი ვლადიმირ კრამნიკი. მეოთხე ტურში მან თეთრებით ლეკოსთან ყაიმი ითამაშა და პირველზე გასვლის შანსი კიდევ უფრო შეიმცირა.

დიდოსტატებმა ძველინდური პარტია გაითამაშეს. რუსმა დებიუტში ხელმწიფის ფლანგი განავითარა, მთავარსარდალს რეზიდენცია გაუმარგა და ლაზიერით იერიშზე წავიდა. უნგრელმა მეტოქის შეტევა მოიგერია, მხედრით თეთრ დედოფალს სვლები გაამეორებინა და 23-ე სვლაზე ყაიმზე დაითანხმა.

17 წლის ნეპომნიაშჩიმ კი ვან ველს მოუგო და შეჯიბრის მოგების შანსი შეინარჩუნა. მომდევნო ტურში იგი თანალიდერ ლეკოს დაუპირისპირდება.

ᲚᲐᲒᲐ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

1. იან გუსტაფსონი	2,5
2. პეტერ ლეკო	2,5
3. იან ნეპომნიაშჩი	2,5
4. შაჰრიარ მამედიაროვი	2
5. არკადი ნაიდიჩი	2
6. ვლადიმირ კრამნიკი	2
7. ლუკ ვან ველი	1,5
8. ვასილ ივანჩუკი	1

ᲑᲚᲐᲜᲙᲐ ᲕᲚᲐᲡᲘᲩᲘᲡ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ 30
ᲚᲣᲙᲘᲐᲜᲔᲜᲙᲝ ᲔᲥᲕᲡ ᲛᲔᲢᲠᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲐ



ბლანკა ვლასიჩი

ᲙᲐᲪᲗᲐ ჭოკით მხტომელთა კლუბში კიდევ ერთი 6-მეტროსანი გაწევრიანდა. წლეულს ამ გროსრმაისტერული სიმაღლის დამძლევთ — ავსტრალიელ სტივ ჰუკერსა (6,00) და ამერიკელ ბრედ უოლკერს (6,04) შეურთდა რუსი ევგენი ლუკიანენკო, რომელმაც გუშინწინ პოლონურ ბიდგოშჩში გამართულ ზორბა ტურნირზე 6,01 მეტრი აიღო და ზედ ოლიმპიადის წინ ჩაეწერა ფავორიტთა მოკლე სიაში.

ამ ტურნირზე ჭოკი მხტომელთა შეჯიბრი განსაკუთრებით შედეგიანი გამოდგა. პოლონეთში არ გახლდათ სეზონის რეკორდის მპყრობელი უოლკერი, თუმც შეჯიბრი მაინც გვარიანი გაიმართა. ერთბაშად ხუთმა მეჭოკემ დაძლია 5,71 მეტრი, ასეთი შედეგები კი საშუალო ტურნირებზე კი არა მსოფლიოს ჩემპიონატებზე გაიშვიათდა. ეს ხუთეული შეადგინეს ლუკიანენკომ, ჰუკერმა, შვედმა ალჰაჯი იენგმა, ბრიტანელმა სტივენ ლუისმა და ვეტერანმა გერმანელმა ტომი ლობინგერმა.

ლუკიანენკომ შეჯიბრში გამოსვლა თავიდანვე პრეტენზიული 5,61 სიმაღლით დაიწყო და მისი დაძლევის შემდეგ ერთბაშად 20 სანტიმეტრით ააწევინა თამასა. ლუისი, იენგი და ლობინგერი ვეღარ მიჰყვნენ და 5,71 მეტრზე შეაჩერეს ზესვლა, ჰუკერმა კი გამოსვლა გაგრძელა და 5,81-ს პირველივე ცდაზე შესწვდა. ბრძოლა გაგრძელდა 5,91 მეტრ სიმაღლეზე, სადაც პირველი ცდა ორივეს გაუცუდდა. ლუკიანენკომ მეორეზე მიაღწია საწადელს და შემდეგი სიმაღლის შეტევის უფლება მოიპოვა. ჰუკერმა კი მეორეც ჩააგდო და მერე სამლეოსნო ავანტიურაზე წავიდა — 5,91-ის დაუძლეველად შეუკვეთა 5,95, მაგრამ დარჩენილი მესამე ცდა ჩაფლავა და ლუკიანენკოს გამარჯვებაც გაუფორმდა. მაგრამ რუსი ამას არ დასჯერდა, 6,01 შეუკვეთა და პირველივე ცდაზე ყოჩაღად აიღო, რითაც მთელი 10 სანტიმეტრით გააუმჯობესა პირადი რეკორდი და თანაც ყველა დროის საუკეთესო ჭოკით მხტომელთა სიაში მეშვიდე საფეხურზე დამკვიდრდა. მერე ლუკიანენკომ საცდელად 6,05 მეტრსაც შეუტია, მაგრამ უშედეგოდ და დამსახურებული ტაშით გააცილეს.

ბიდგოშჩში კიდევ არაერთი მსოფლიოს დონის მძლეოსანი გამოდიოდა, რომელთა შორის ისევ და ისევ, ხორვატი კალია ბლანკა ვლასიჩი უნდა ვახსენოთ. ამ გოგონას ხომ დაუშრეტელი ენერგია აქვს და ლამის ყოველ კვირა ისეთ რამეებს აკეთებს, სხვანი სიცოცხლეში ერთხელ გაკეთებაზე რომ ოცნებობენ. ხორვატმა სიმაღლეზე მხტომელმა პოლონეთში 2,05-მეტრიანი თამასა დაძლია, მაშინ როდესაც მდევართა შორის ყველაზე ყოჩაღი, რუსი ეკატერინა საჭენკო სადღაც ქვევით, 1,92-ზე შეჩერდა. ვლასიჩისთვის ეს გამარჯვება ზედიზედ 30-ე იყო და ამ მხრივ საოცარია მას მთელს სამძლეოსნო სექტორში ბადალი არა ჰყავს.

ვლასიჩმა ბოლოს მსოფლიოს რეკორდის ტოლფასი, 2,10-მეტრიანი თამასა შეუკვეთა და სამივე ცდა საკმაოდ კარგი გამოუვიდა, მაგრამ რეკორდი არ გამოცხვა და ვლასიჩის აბსოლუტური ტრიუმფი მომავლისთვის გადაიდო. ვინ იცის, ის ოლიმპიადაზე გეგმავს სტეფკა კოსტადინოვას უნიკალური 2,09 მეტრის გახუნებას?

ᲕᲐᲜᲝ ᲙᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘᲗ ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ

ირაკლი კეკელიაძე, ნიკა ამაშუკელი, გია გალდავა

ᲓᲦᲔᲡ გამთენიისას საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები იტალიის ქალაქ ვენეციაში გაემგზავრა, სადაც მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. C ჯგუფში ჩვენი ნაკრების მეტოქეები სერბეთი, იაპონია და აზერბაიჯანი იქნებიან. მომდევნო ეტაპზე ორი საუკეთესო ნაკრები გავა და საჩემპიონო გზას გაუყვება. ჯგუფში ჩარჩენილები კი მე-9-მე-16 ადგილების გადასანაწილებლად ითამაშებენ. საქართველოს ნაკრები აპენინებზე ვიცე-ჩემპიონის სტატუსით ჩადის, რაკიღა წინა, 2006 წლის ჩემპიონატზე ფინალს უწია და იქ რუსეთის ნაკრებთან ოდენ ერთი ქულით, 30:31 დამარცხდა.

მაშინდელი შემადგენლობიდან ძირითადი ბირთვი კვლავ შენარჩუნებულია, ყველაზე სერიოზული დანაკლისი კი ნაკრების უდავო ლიდერი სერგო დათუკაშვილია, ვინც ასაკობრივ ცენზს ვერ აკმაყოფილებს — სტუნედნტურ ჩემპიონატში მხოლოდ 18-დან 28 წლამდე ხელბურთელებს ათამაშებენ.

გუშინ სპორტის დეპარტამენტში ამ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა, ჟურნალისტებს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გია გალდავა, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი ნიკა ამაშუკელი და ნაკრების თავკაცი ირაკლი კეკელიძე ესაუბრნენ.

ნიკა ამაშუკელი: „ხელბურთელთა ნაკრებს ჩვენი ფედერაცია აფინანსებს. ეს თავიდანვე იყო განსაზღვრული, იმის გათვალისწინებით, რომ ნაკრები 2006 წელს ანალოგურ ჩემპიონატზე კარგად გამოვიდა.

ირაკლი კეკელიძე: შეძლებიდაგვარად კარგად მოვემზადეთ. უნდა ითქვას, რომ ყველაზე რთულ ჯგუფში ვართ. სერბეთს და იაპონიას ძლიერი ნაკრებები ჰყავთ, თუმცა ჩვენ ბოლომდე დავიხარჯებით და მაქსიმუმს გავიღებთ იმისთვის, რომ სათანადო შედეგი ვაჩვენოთ.

გია გალდავა: ბოდიშს ვიხდით, რადგან ნაკრებს არ მიეცა სათანადოდ მომზადების საშუალება, მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ შემოდგომაზე, როდესაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები იქნება, ამ მხრივ სიტუაცია გამოსწორდება. წინა ჩემპიონატზე ნაკრები ფინალში გავიდა, ახლა მათ მაინცდამაინც იმავეს არ ვთხოვთ, მთავარია, ბიჭები ბოლომდე დაიხარჯონ და ეცადონ, რაც შეიძლება, შორს წავიდნენ.

ჩვენები პირველ თამაშს 6 ივლისს სერბეთთან ჩაატარებენ და ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სერბეთს არამარტო C ჯგუფში, არამედ მთლიანად ტურნირზე, ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები ჰყავს. 7 ივლისს აზერბაიჯანთანაა თამაში, ხოლო 8 ივლისს — იაპონიასთან.

საქართველოს ნაკრები: შოთა თევზაძე („ბაკაუ“, რუმინეთი), კორნელი ანდრიაძე („თბილისი), ამირან ყიფიანი („სტუ-შევარდენი“), რევაზ ჭანტურია („მეტალურგი“, მაკედონია), რატი მსხვილაძე („სტიარნანი“, ისლანდია), ვლადიმერ რუსია („დინამო“, რუმინეთი), გიორგი წივწივაძე („თბილისი“), ირაკლი ჩიქოვანი („სტუ-შევარდენი“), ლევან ბერძენიშვილი („სტუ-შევარდენი), ილია გოგალაძე („სტუ-შევარდენი), უჩა მაისურაძე („თბილისი), მამია კობახიძე („შოკოლად ბოისი“, ესტონეთი), გიორგი კობახიძე („სტუ-შევარდენი“).

ᲚᲔᲥᲡᲝ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ: ᲓᲘᲐᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲐᲜᲙᲘ

ᲐᲛᲔᲠᲙᲘᲡ შეერთებულ შტატებში, ბოსტონის მაგარსაფარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 50-ათასიანი ტურნირი ტარდება, რომლის განაცხადშიც სამი ქართველი იყო, მაგრამ სალომე დევიძემ და სოფო მელიქიშვილმა საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში წააგეს და შეჯიბრს ერთადერთი ჩვენებური, ანა ტატიშვილი შემორჩა.

ბოლო ხანებში წარმატებით მოთამაშე ანა მაღალი რეიტინგის წყალობით, პირდაპირ ძირითად ბადეში მოხვდა და პირველ წრეში იოლად, 6:2 6:1 გაუსწორდა 26 წლის ამერიკელ მოურინ დიასს, ვისაც WTA-ს რეიტინგში 753-ე პოზიცია უკავია.

მეორე წრეში ტატიშვილი მე-3 ნომრად განთესილ უნგრელ მელინდა ჩანკს შეხვდება, რომელმაც, თავის მხრივ, სამ სეტში — 4:6 6:1 6:2 აჯობა კიდევ ერთ მასპინძელს, კიმბერლი კოუტსს.

25 წლის ჩანკი ამჟამად 120-ეა კლასიფიკაციაში, კარიერის უმაღლესი, 64-ე პოზიცია კი 2004 წელს ეკავა.

თუ უნგრელსაც მოუგებს, მაშინ ტატიშვილი მეოთხედფინალში მე-6 ნომრად განთესილ არგენტინელ სოლედად ესპერონსა და ოდესღაც უიმბლდონის ნახევარფინალამდე მისულ ამერიკელ ალექსანდრა სტივენსონს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

უიმბლდონი 2008. ბალახი. 23 ივნისი - 6 ივლისი. საპრიზო 14 883 120 J

ᲚᲐᲪᲔᲑᲘ

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲠᲝᲯᲔᲠ ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲘ (1, შვეიცარია) — **ᲛᲐᲠᲘᲝ ᲐᲜᲩᲘᲩᲘ** (ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ) 6:1 7:5 6:4; **ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲜᲐᲓᲐᲚᲘ** (2, ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) — **ᲔᲜᲓᲘ ᲛᲘᲣᲠᲘᲔ** (12, ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ) 6:3 6:2 6:4; **ᲛᲐᲠᲐᲗ ᲡᲐᲤᲘᲜᲘ** (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) — **ᲤᲔᲚᲘᲩᲘᲐᲜᲝ ᲚᲝᲞᲔᲡᲘ** (31, ᲔᲡᲪᲐᲜᲔᲗᲘ) 3:6 7:5 7:6 6:3; **ᲠᲐᲘᲜᲔᲠ ᲨᲣᲢᲚᲔᲠᲘ** (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ) — **ᲐᲠᲜᲝ ᲙᲚᲔᲛᲐᲜᲘ** (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) 6:3 5:7 7:6 6:7 8:6

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ (6, ᲐᲨᲨ) — **ᲟᲘ ᲟᲔᲜᲒᲘ** (ᲩᲘᲜᲔᲗᲘ) 6:2 7:6; **ᲕᲘᲜᲣᲡ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ** (7, ᲐᲨᲨ) — **ᲔᲚᲔᲜᲐ ᲓᲔᲛᲔᲜᲢᲘᲔᲕᲐ** (5, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) 6:1 7:6;

მარატ საფინს შეუძლია, ოცნების ფინალი ჩაშალოს

ᲓᲔᲒᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲚᲚᲝᲓᲘᲜᲘ

ᲠᲝᲯᲔᲠ ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲘ და რაფაელ ნადალი ორი სიჩქარე აკრეფილი ექსპრესივით მიექანებიან ფინალისკენ და თუ შეხვდებიან, გასაოცარ ფეირვერკსაც მოაწყობენ. ჩოგბურთის მოყვარული არ გვეგულება, ამ ფინალის ნახვაზე რომ არ ოცნებობდეს, რადგანაც ეს იქნება ორი ტიტანის ჯახი. ფედერერ-ნადალის დაპირისპირებით თითქოსდა ვის გააკვირვებ — ბოლო სეზონებში ამაზე მეტი რა გვინახავს, მაგრამ ყველა წინა შეხვედრისგან განსხვავებით ეს იქნება ორი თანაბარი და თანაც ფანტასტიკურ ფორმაში მყოფი ჩეჩოგნის ომი. აქამდე გამართულ ყველა შეხვედრაში რომელიმე ჩოგბურთელს აშკარა უპირატესობა ეპყრა ხელთ, ვინაიდან თიხნარი ესპანელის საბატონოდ ქცეულა, ბალახი კი — შვეიცარელისა.

თუმც ახლა სულ სხვანაირად იქნება. ნადალი წლეულს ლონდონის მწვანე მინდორზეც ისე შთამბეჭდავად ჩოგნაობს, როგორც პარიზის გრუნტზე. სწორედ ამიტომ ეს სავარაუდო ფინალი იქნება ორი თანაბარი ძალის დაპირსპირება, რაც არნახულ სანახაობას გვპირდება.

ყველაფერთან ერთად შთაბეჭდილება იქმნება, რომ ფედერერი და ნადალი უკვე ეჯიბრებიან ერთურთს. ყოველ ახალ მატჩთან ერთად ალპელი უმატებს და სულ უფრო სასტიკად უსწორდება მეტოქეებს. რაფაც არ რჩება ვალში და თავადაც ახალ, ხარისხობრივად უფრო მაღალი დონის თამაშს აჩვენებს, თითქოსდა „მხიარულ როჯერს“ მიანიშნებდეს — რა სიმაღლეზეც არ უნდა ახვიდე, მაინც დაგეწევიო.

ეგრე იყო წვიმით გაჯერებულ ოთხშაბათსაც, როცა ჯერ ფედერერმა იფრინა და მარიო ანჩიჩი მიჩოგნა. ამის შემდეგ კი ცენტრალურ კორტზე ნადალი გამოვიდა და კიდევ უფრო ფანტასტიკური თამაშით უშანსოდ დატოვა მასპინძელთა მთავარი იმედი ენდი მიურეი.

მაგრამ მოდით ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ და ფედერერ-ანჩიჩის თამაშის მიმოხილვით დავიწყოთ. მოგესხენებათ, ალპელს ამ შეხვედრაში დამატებითი მოტივაცია ჰქონდა, რადგანაც აყლაყუდა ხორვატი ბოლო მეჩოგნეა, „მხიარულ როჯერს“ უიმბლდონზე დამარცხების სიმწარე რომ აგემა. მართალია, მას შემდეგ ფედერერმა ხორვატს არა ერთხელ მოუგო და მათ შორის შარშანწინ აქვე, მეოთხედფინალში, მაგრამ ალპელს მაინც მწარედ ახსოვს ბალკანელისგან ექვსი წლის წინ ნაწვნევი მარცხი და აკი მატჩის წინ იძახდა კიდეც, ჩემი მხრიდან მეტოქის შეუფასებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო.

მატჩის დაწყება წვიმის გამო გადაიდო, ხოლო როცა ჩოგბურთელები კორტზე გაუშვეს, გააფრთხილეს — შეიძლება კიდევ მოხსნას ცამ პირი და შანსია, გასახდელში დაბრუნება მოგიწიოთო. ფედერერმაც, ეტყობა, გულთან ახლოს მიიღო ეს გაფრთხილება და პირველივე მოწოდებიდან ისეთი უნაკლო ჩოგბურთი გააჩაღა, ანჩიჩი კორტზე გაოგნებული დააბოტებდა. ჰოდა, გასაკვირი არ არის, რომ ალპელმა სეტი 20 წუთში სათავისოდ დაიტოვა.

აქ კი გაწვიმდა, რამაც ანჩიჩს უშველა — კორტზე დაბრუნების შემდეგ ხორვატმა შეძლო გავეშებული მეტოქის ოდნავ შეკავება და კარგა ხანს ინარჩუნებდა კიდეც საკუთარ მოწოდებას, მაგრამ სეტის მიწურულს შვეიცარიელმა მაინც დააბრეიკა მეტოქე. მესამე პარტიაში კი ანჩიჩმა მხოლოდ მეშვიდე გეიმამდე გაძლო, შემდეგ კი ფედერერი ისევ წინ გაიქცა და ხორვატის ამბავიც მორჩა.

„ტურნირზე ჩემი გამოსვლით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. ისევე კარგად ვთამაშობ, როგორც ბოლო წლებში. მართლაც ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს“ — აღიარა ნამატჩევს ფედერერმა, რომელმაც უიმბლდონზე ზედიზედ 39-ე, ბალახზე კი 64-ე მატჩი მოიგო.

ნახევარფინალში როჯერს მარატ საფინის სახით საკმაოდ რთული ბარიერი ექნება გადასალახი. გიგანტი რუსი თითქმის სამწლიანი უხეირო ჩოგნაობის შემდეგ, როგორც იქნა იმ დონეზე თამაშობს, რაც მისი ნიჭის პატრონს ეკადრება. იმედია, საფინი შეძლებს კარიერის შემობრუნებას და ეს მხოლოდ ერთჯერადი მოვლენა არ იქნება, რადგანაც ასეთი კოლორიტის ყოლა ჩოგბურთს მხოლოდ და მხოლოდ წაადგება.

უიმბლდონზე კი საფინი მშვენივრად გამოიყურება და მიუხედავად იმისა, რომ ბალახი მისი საყვარელი საფარი არასდროს ყოფილა, ძალიან სოლიდურ ჩოგბურთს თამაშობს. აგერ ოთხშაბათს მარატი თავისთვის ძალიან უხერხულ მეტოქეს — ფელიჩიანო ლოპესს გაუმკლავდა, არადა, აქამდე 5 შეხვედრიდან მხოლოდ ერთში ეჯობნა ამ ესპანელისთვის. ჩვენში დარჩეს და რუსს წვიმამ სულზე მოუსწრო, რადგანაც თავიდან ძალიან ცუდად დაიწყო და პირველი სეტი უკბილოდაც წააგო. მაგრამ, ჩანს, გასახდელში დამშვიდდა, თანაც სამწვრთნელო შტაბის წევრებმა უკარნახეს რისი გაკეთება იყო საჭირო და რუსსაც აღარ გაუშვია ხელიდან უპირატესობა.

„მარატს არასდროს აღვიქვამდი, როგორც მე-80 ანაც 90-ე საფეხურზე მყოფ მეჩოგნეს. მას ძალიან ბევრი შეუძლია, უბრალოდ გასაკვირია, რომ ლონდონში გამოიდო თავი. ვფიქრობ ძალიან ძნელი მატჩი მელის წინ, რადგანაც საფინთან შეხვედრა დროის სასიამოვნოდ გატარების საშუალება არასდროს ყოფილა“ — ფრთხილი იუმორით შემოიფარგა ფედერერი.

აი, საფინი კი ნაკლებად არის დარწმუნებული საკუთარ ძალებში:

„რა თქმა უნდა, აქ კარგად ვთამაშობ და იმედია ასეც გავაგრძელებ. ჩემი მიზანი საუკეთესო 20-ეულში დაბრუნებაა. მაგრამ მოდით სამართლიანები ვიყოთ — ოთხი თამაში მოვიგე და ჩემგან ფედერერის დამარცხებას ელით? ადამიანი ექვსი წელია არ აგებს ბალახზე. თანაც როჯერის დასამარცხებლად ნადალი უნდა იყო — კორტზე შლეგიანივით უნდა დარბოდე და ყველა ბურთს ბოლომდე მისდევდე. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩემსას არ ვცდი და ეგებ გამომივიდეს კიდეც“.

საფინმა ნადალობა ინატრა, თავად ესპანელმა კი სრულიად ბრიტანეთი დაადუმა, როცა ენდი მიურეის გადაურბინა. შოტლანდიელს მთელი ტურნირი გიჟურად გულშემატკივრობდნენ და ენდი-ბიჭმაც მეოთხედფინალს დიდ წილად ამის ხარჯზე უწია — აკი გიჟმაჟი მასპინძლების მიერ შექმნილ ატმოსფეროში ნერვები არც გამოცდილ ტომი ჰაასს ეყო და არც ახალგაზრდა რიშარ გასკეს. მაგრამ ნადალთან მიურეის ვერც ამან უშველა და ეს იმიტომ, რომ თავს ზემოთ ძალა არ არის, რადგანაც რაფა ორისამი თავით აღემატებოდა მასპინძელს. ნამატჩევს ეს თავად სქოთმაც აღნიშნა, როდესაც აღფრთოვანებული საუბრობდა მეტოქეზე:

„გასაოცრად თამაშობს და გონების დამბინდავად სწრაფია. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ ყოველი დარტყმისას ვიღაც მაჩქარებდა, ვინაიდან თითქმის მთელ კორტს ფარავდა და თავისუფალ ზონას არ მიტოვებდა. არა მგონია, ფინალში მასთან ვინმე ფავორიტის რანგში გავიდეს“.

არაფერი მოულოდნელი არ მომხდარა ქალთა ნახევარფინალებში — შავდა უილიამსებმა თამაშ-თამაშ გაინაღდეს ტურნირის მთავარი შეხვედრაში მონაწილეობის საგზურები. ეს შიდაოჯახური ჯახი უიმბლდონზე 2003 წლის შემდეგ პირველად გაიმართება. საერთოდ კი ვინუსი და სერენა ლონდონში აქამდე ორჯერ დაეტაკნენ ერთმანეთს, ორჯერვე ფინალში და ორივეჯერ უმცროსმა დამ იხეირა — სხვათა შორის, სერენას ამის მეტად ინგლისში არც უჩემპიონია.

ნახევარფინალები კი მართლაც უხეირო საცქერი გამოდგა, რადგანაც არც ერთში ინტრიგის ნასახიც არ ყოფილა. მართალია, ამას ისედაც ყველა ვარაუდობდა, მაგრამ მაინც ღვიოდა იმის ნაპერწკალი, რომ ან ელენა დემენტიევა, ანაც ჟი ჟენგი შეძლებდნენ შავდების ანერვიულებას მაინც. არაფერი არ გამოვიდა — თანაც შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ რუსმაც და ჩინელმაც ნახევარფინალები ჯერ კიდევ გასახდელში, კორტზე გასვლამდე წააგეს და თვითონაც არ ჯეროდათ, რომ გამარჯვების შანსი ჰქონდათ.

დემენტიევამ თავიდანვე თავი დაუხარა ვინუსს და ამერიკელს 4:0 დაწინაურების საშუალება ისე მალე მისცა, რომ თავად უილიამსსაც გაუკვირდა — იანკი გაოგნებული სახით დადიოდა, თითქოს არ სჯეროდა, რომ ეს სინამდვილეში ხდებოდა. რუსმა ისღა შეძლო, რომ სეტის ნოლზე წაგებას გადაურჩა, როცა ერთადერთი გეიმი დიდი წვალებით გამოგლიჯა მეტოქეს.

მეორე სეტის ანგარიშიდან გამომდინარე შეიძლება იფიქროთ, რომ აქ მაინც იყო ბრძოლაო, მაგრამ ნურას უკაცრავად — თავად ვინუსი მოუშვა ზედმეტად და როგორც ჩვევია, შეცდომებს უმატა, რამაც დემენტიევას იმედისმაგვარი ჩაუსახა და მანაც გამოაჩინა კლანჭები. თუმც უფროსი შავდა მთლიანად აკონტროლებდა მატჩის ვითარებას და ისეთი წარმოდგენა იქმნებოდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში შეეძლო მომატება.

ამის მიუხედავად, საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც ვინუსს აღელვება არ დასჭირვებია — დემენტიევა თავადვე შეცდა რამდენიმე მარტივ სიტუაციაში და უფროს შავდას ფინალის საგზური ხონჩით მიართვა.

მეორე ნახევარფინალი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა პირველს, სადაც სერენას ასევე მხოლოდ მეორე სეტში გაუჭირდა. აბა, მანამდე ჟენგი ხელების კანკალით თამაშობდა. მეორეს მხრივ კი, ჩინელის პატივსაცემად უნდა ითქვას, რომ მეორე პარტიაში მან შეძლო თამაშის გამოსწორება და ერთი პირობა საკუთარი ჩოგბურთიც მოახვია თავს გოროზ მეტოქეს. თუმც ძალა აღმართს ხნავსო და აქაც ასე მოხდა, როცა უმცროსმა უილიამსმა ჩვეული ყუმბარმტყორცნი ჩართო და აზიელსაც თავისი ადგილი მიუჩინა.

ასე რომ, შაბათს შიდაოჯახურ ჯახს ვიხილავთ — მართალია, ეს მატჩი ინტრიგის მხრივ აშკარად მოიკოჭლებს, მაგრამ სამაგიეროდ, ლამაზ ბრძოლას მაინც ველით, რადგანაც არც ერთი გოჯის დამთმობი არ იქნება.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲒᲘᲚᲘ

როგორ გამოიგონეს ველოსიპედი

ხვალ მსოფლიოში უპრესტიჟულესი ველოშეჯიბრი, განთქმული „ტურ დე ფრანსი“ იწყება. ტურნირის წინა ამბებს ხვალინდელ „სარბიელში“ გაგაცნობთ, დღეს კი უფრო ზოგად თემას, ველოსპორტის ისტორიას გვინდა შევეხოთ. უამრავი ოლიმპიური სახეობისგან განსხვავებით, რომლებიც კაცობრიობამ ათასწლეულების წინ მოიგონა, ველოსპორტი შედარებით „ახალგაზრდა“ სპორტია, მე-19 საუკუნის ბოლოს გაჩნდა. თუმცა, სანამ უშუალოდ ველოსპორტზე ვილაპარაკებდეთ, თავად ველოსიპედის გამოგონებაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა...







ჯონ ბოიდ დანლოპი

ძველი ველოსიპედი

ბორბლებით გადაადგილების იდეა, რომლის წარმმართველი ძალა ადამიანის კუნთები იქნებოდა, თითქმის ერთდროულად გაჩნდა რამდენიმე ქვეყანაში: გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, რუსეთში... ორბორბლიანი ნაკლებად, ამ ტიმის პირველი ტრანსპორტი ძირითადად 4 და 3-ბორბლიანი იყო.

პირველი, მთლიანად მეტალისგან დამზადებული ორბორბლიანი ველოსიპედი 1800 წელს გაჩნდა რუსი ინჟინერის, ეფიმ არტამანოვის სახელოსნოში და, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველი ველოგარბენაც; მანვე მოაწყო ერთი წლის მერე ეკატერინბურგიდან მოსკოვში ჩავიდა. ეს კი 5 ათასი კილომეტრის გავლას ნიშნავდა რუსულ უგზოობაში.

„ახალშობილი“, რომელიც 40 კილოგრამს იწონიდა, პედლები წინა ბორბალზე ჰქონდა, ხოლო თავად ბორბლის დიამეტრი 1 მეტრი იყო, რუსთა იმპერატორმა ნიკოლოზმაც ნახა საკუთარ კურთხევაზე. ჰო, ამ ველოსიპედის უკანა ბორბლის დიამეტრი წინაზე ორჯერ ნაკლები გახლდათ, ხოლო მთლიანად სიმაღლე 1,5 მეტრი გამოდიოდა.

მაგრამ რუსებმა გამოგონება ვერ დააფასეს, ოსტატს პატენტი არ მისცეს და შედეგად, ველოსიპედის გამომგონებლად გერმანელი კარლ ფონ დრაისი ითვლება და მისი ორთვლიანი და ხის ძარიანი ველოსიპედი 1814 წლით თარიღდება. სამი წლის მერე კი ფონ დრაისმა პატენტიც მიიღო და ასე გახდა მსოფლიოში პირველი ველოსიპედის გამომგონებელი. ველოსიპედის შემდგომი სრულყოფა კი დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში თითქმის ერთდროულად მოხდა.

პირველი შეჯიბრი

1868 წლის 31 მაისს პარიზის გარეუბან სენ კლუში შეჯიბრება მოეწყო 2 ათას მეტრზე. გამარჯვებული ინგლისელი ჯეიმს მური გახდა და ისტორიული წყაროების მიხედვით, ეს გარბენი პირველ ოფიციალურ ტურნირად არის აღიარებული.

მურმა მოიგო მეორე ოფიციალური ტურნირიც, რომელიც ერთი წლის შემდეგ ჩატარდა. მონაწილეებს პარიზიდან რუანამდე 120 კილომეტრი უნდა გაევლოთ. მურმა ეს 10 საათსა და 45 წუთში მოახერხა, ხოლო თუ არ დავიზარებთ და მანძილს დროზე გავყოფთ ანუ სიჩქარეს გამოვითვლით, მივიღებთ, რომ გამარჯვებულის სიჩქარე ფეხით მორბენალის სიჩქარეს არ აღემატებოდა. წყაროების მიხედვით, ამ რბოლაში მონაწილეობა სპორტსმენებისგან „სპილოს ძალას და მაიმუნის მოქნილობას“ მოითხოვდა.

მოგვიანებით ველოსიპედის კონსტრუქცია შეიცვალა. წინა ბორბალი კიდევ უფრო გაიზარდა, უკანა — კიდევ უფრო შემცირდა, ხოლო სიჩქარემ 30 კმ/სთ-მდე უწია. ოღონდაც პარამეტრების ზრდასთან ერთად ველოსიპედი კიდევ უფრო ხიფათიანიც შეიქნა. ვერ დაიმორჩილებდი და, როგორია, ასეთი „ცათამბჯენიდან“ გადმოვარდნა...

1815 წელს ვინმე თომას სტივენსმა ასეთი ველოსიპედით მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა და დღეში სულ რაღაც 60 კილომეტრს გადიოდა.

მალევე ველოსიპედის კონსტრუქციაში პრინციპული ცვლილება მოხდა. თუ იქამდე პედლები უშუალოდ წინა ბორბალზე იყო მიმაგრებული, გაჩნდა ჯაჭვი. ამით სიჩქარე კიდევ უფრო გაიზარდა, ველოსიპედის შემდგომი დახვეწა კი ძალიან სწრაფი ტემპით გაგრძელდა.

მერე ავანსცენაზე შოტლანდიელი ვეტერინარი ჯონ ბოიდ დანლოპი გამოჩნდა, რომელმაც ველოსიპედს კომფორტი შესძინა.

საქმე ის არის, რომ პირველ ველოსიპედს მთლიანი რეზინის საბურავები ჰქონდა, რაც ამორტიზაციის თვალსაზრისით საშინელება იყო. დანლოპმა თავისი შვილის ოთხთვალასთვის, ბავშვს ძალიან რომ არ ეჯაყჯაყა, საბურავებად წყლით სავსე ჩვეულებრივი სარწყავი შლანგი გამოიყენა. ჯაყჯაყი აშკარად შემცირდა, მაგრამ სხვა პრობლემა გაჩნდა — წყლიანმა საბურავებმა სისწრაფეც გვარიანად შეამცირა. აი, ამის მერე იყო, დანლოპმა საბურავების ჰაერით დატუმბვა რომ სცადა და... მას მერე დაჰქრიან მსოფლიოში „დანლოპის“ საბურავიანი მანქანები და ველოსიპედები. ვინძლო, ბევრ თქვენთაგანსაც მანქანებზე სწორედ „დანლოპები“ უყენია.

ველოსიპედის შემდგომი სრულყოფა კი მისი მანევრირების გაზრდისა და კონსტრუქციის სიმსუბუქის მიმართულებით გაგრძელდა.

ველოსპორტი

ველოტრეკების მშენებლობა საფრანგეთში, იტალიასა და ინგლისში ჯერ კიდევ დანლოპის გამოგონებამდე, 1870 წლიდან დაიწყეს. ნამდვილი ველობუმი კი ევროპას და ამერიკას პნევმატური საბურავების გამოჩენის მერე მოედო.

1891 წელს დაარსდა საგზაო რბოლა ბორდო-პარიზი (600კმ). 1893 წელს ჩიკაგოში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა ტრეკზე მოყვარულთა შორის. 1895 წლიდან კი პროფესიონალ სპრინტერთა მსოფლიოს ჩემპიონატები ტარდება. მე-19 საუკუნის ბოლოს ძალიან პოპულარული გახდა 6-დღიანი რბოლები ტრეკზე, პირველი საგზატკეცილო მსოფლიოს ჩემპიონატი კი უკვე მეოცე საუკუნეში, 1921 წელს გაიმართა, ხოლო ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატებს 1958 წლიდან დაედო სათავე.

ველოსიპედი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან სახეობათა შორის, თანამედროვეობის უკლებლივ ყველა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში რომ მოხვდა.

პირველ ოლიმპიადაზე, ათენში, საგანგებოდ ტრეკიც ააშენეს, რომელიც თითქმის სრულად აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, დღეს, 21-ე საუკუნეში რომ უყენებენ ტრეკებს.

პირველი ოლიმპიური სტარტი 1896 წლის 8 აპრილს შედგა და ველომრბოლები ევროპის 5 ქვეყნიდან შეიკრიბა. ოლიმპიურ პროგრამაში ტრეკზე რბოლის 5 სახეობა და ერთიც საგზატკეცილო იყო შეტანილი. იმ პირველ ოლიმპიადაზე ფრანგმა პოლ მასონმა ორი ოქრო მოიგო (ჰიტი ადგილიდან 1 კმ. და სპრინტი 1000 მ.).

საინტერესო ფაქტიც: იმ დროს ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია ჯერ კიდევ არ არსებობდა (მხოლოდ 4 წლის მერე დაარსდა). ჰოდა, როგორღა აღმოჩნდა მაშინ ველოსპორტი პირველი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში? გასაოცარი ჟინისა და მონდომების წყალობით, მუშა ველოსიპედისტთა კავშირმა „სოლიდარობამ“ რომ გამოიჩინა.

თანამედროვე ველოსპორტში სხვადასხვა ტიპის ველოსიპედები გამოიყენება. ასე მაგალითად, საგზატკეცილო ველოებს 14 სიჩქარე აქვთ და საუკეთესო სამუხრუჭე მექანიზმებითაა აღჭურვილი. ტრეკის ველოებს კი მხოლოდ ერთი სიჩქარე აქვთ, ხოლო მუხრუჭები საერთოდ არ გააჩნიათ. თანამედროვე სპორტული ველოსიპედის ფასი კი 4 500 დოლარს აღწევს.

ირაკლი ნინიძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბულაძიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00